

# სიღონე



1948 მ ა ი ს ი № 5





# პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შოკვალთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ

Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)

წელიწადი XXII

1948 წელი

№ 5

მ ა ი ს ი



გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:

თბილისი ლენინის ქ., № 28,

ტელეფონი № 3-81-65

## პარლამ ქარული

### გაზაფხუდი სტალინის ბაღში


საქართველოში მთების დიდება  
მუდამ იწყება ლექსთა ხვავებით.  
მეც სილამაზის ქება მინდება  
ჩემი თბილისის მთის აყვავებით.

აქ შადრევანთა შხეფების ცვარი  
ლამით ყვავილებს ეციმციმება.  
ძირს მიზვირთაობს ბუტბუტა მტკვარი,  
ქაფი აღდება ვერცხლის მძივებად.

აქ, მარმარილოს სვეტების ახლოს,  
ხენი არხევენ ფოთლების ფარჩებს.  
მერცხალს სწყურია სვეტს ფრთა შეახოს,  
თეთრი აივნის მოსახლედ დარჩეს.

აქ, ხეივანებით მოქარგულ მაღლობს  
ტკბილი ჰანგები ბევრი სმენია.  
შტოზე ჩიტუნაც ფრთხილებს, გალობს,  
ბავშვებს კი მოლზე მოუღბენიათ.

ჰყვავის მთაწმინდა, ქვევით ხევია,  
ვუმზერ და გული ღზენით ავივსე.  
სტალინს ვარდები შემოხვევია,  
დგას მონუმენტი მამადავითზე.







4570

ეს ჩვენი ბედნიერება იყო, რომ ომის მძიმე წლებში წითელ  
არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის  
ბრძენი და ნაცადი ბელადი დიდი სტალინი. გენერალისიმუს  
სტალინის სასეულით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო  
ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სასელოვანი გამარჯვებანი.

**ვ. ბ. შოლოხოვი**







სამოცდაორი წლის წინათ, 1886 წელს, ქალაქ ჩიკაგოში (ამერიკაში) 600 ათასი მუშა გაიფიცა. გაფიცულები იბრძოდნენ გათავსებულ კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცხოვრების აუტანელ პირობებს უქმნიდნენ მუშებს.

გაფიცულებმა პირველ მაისს მოაწყვეს დემონსტრაცია. ისინი ქუჩებში გამოვიდნენ წითელი დროშებით. კაპიტალისტები მკაცრად მოეპყრნენ დემონსტრანტებს. უანდარმერიამ სროლა აუტეხა მათ და ბევრი დემონსტრანტი იქნა მოკლული.

სამი წლის შემდეგ—1889 წელს პარიზში შეიკრიბა სხვადასხვა ქვეყნის მუშების წარმომადგენელთა ყრილობა. ამ ყრილობაზე ჩიკაგოს მუშების გამოსვლის სახსოვრად პირველი მაისი დააწესეს ყველა ქვეყნის მუშათა დღედ. ამ დროიდან მშრომელები დღესასწაულობენ პირველ მაისს.

ჩვენში პირველი მაისი დიდი საყოველთაო სახალხო დღესასწაულია. ამ დღეს ჩვენ ვხარობთ ჩვენი თავისუფალი ცხოვრებით, ჩვენი ახალი გამარჯვებებით, რომლებიც მოვიპოვეთ ქარხნებში, მინდვრებში, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე.

მაგრამ იქ, სადაც ძალაუფლება კაპიტალისტების ხელშია, მუშები პირველ მაისს აწყობენ გაფიცვებს, გამოდიან ქუჩებში, რათა მოითხოვონ მშრომელთა მოქალაქეობრივი მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

1917 წლამდე — დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე — ასე ატარებდნენ მუშები პირველი მაისის დღესასწაულს მეფის რუსეთში. ყოველ წელს აწყობდნენ ქალაქებში საბრძოლო გამოსვლებს. მათ თავს ესხმოდა უანდარმერია.

ბევრს გზავნიდნენ ციხეებში, კატორღებში, გადასახლებაში, მაგრამ მუშათა კლასი არ სწყვეტდა ბრძოლას და შემდეგ წელს კვლავ ახალ და ახალ საბრძოლო მაისობებს აწყობდა.

სამაისო გამოსვლებს ამხანაგი სტალინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

„პირველმაისობის დღესასწაულებმა რუსეთში გაკაფეს გზა პოლიტიკური ბრძოლისა და პოლიტიკური დემონსტრაციებისთვის. და რუსეთის მუშამ წინანდელ, თავის ბრძოლის ერთადერთ საშუალებას — გაფიცვას მიუმატა ახალი ძლიერი საშუალება—პოლიტიკური დემონსტრაცია, პირველად გამოცდილი 1900 წლის დიდებულ მაისობას ხარკოვში“. (სტალინი).

რუსეთში მუშათა კლასმა გაიმარჯვა და დღეს თავისუფალ საბჭოთა კავშირში პირველი მაისი საყოველთაო სასიხარულო დღესასწაულია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კი პირველ მაისს პოლიცია კვლავ თავს ესხმის დემონსტრანტებს, სცემენ ხელკეტებით, ესვრიან ტყვიას და ქუჩებში იღვრება მშრომელთა სისხლი.

პირველ მაისს უწოდებენ საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღესასწაულს. ამ დღეს ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელები ხმამაღლა აცხადებენ, რომ ისინი იბრძვიან ერთი საერთო საქმისათვის.

და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, საპირველმაისო ზეიმზე ვლაპარაკობთ, რომ მთელი გულით მათ მხარეზე ვართ, ვინც თავის ქვეყანაში იბრძვის მშვიდობისათვის, სახალხო ხელისუფლებისა და დემოკრატიისათვის, თავისუფალი ცხოვრებისათვის.



# ქართველები გერმანიაში



## ცოტა რამ ისტორიიდან

აღმოსავლეთ პრუსიაში, პომერანიაში, სილეზიაში, ბრანდენბურგში, სადაც ამ სამი წლის წინათ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, ორასი წლის წინათ რუსთა ჯარების რიგებში მამაცურად იბრძოდა ქართველებისაგან შედგენილი ჰუსართა პოლკი. პრუსიელებთან ბრძოლებში ამ პოლკმა დიდი სახელი მოიხვეჭა.

ეს იყო შვიდწლიანი ომის დროს.

რუსთა ჯარები ძლევამოსილად მიიწვიდნენ წინ გერმანელთა მიწა-წყალზე. დიდ ბრძოლაში გროს-ეგერსდორფთან 1757 წლის 30 აპრილს რუსებმა სასტიკად დაამარცხეს პრუსიელები.

ამ ბრძოლაში მონაწილეობდა XVIII საუკუნის სახელოვანი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც მაშინ ჰუსართა პოლკში მსახურობდა.

„ორმოცხვიდმეტს ბრუსის კოროლს

შეურყიეთ ტახტის სვეტი“-ო,

— სწერს დავით გურამიშვილი პრუსიელთა ამ დამარცხების შესახებ.

შემდგომ, 1758 წელს, ქართველი მეომრები მონაწილეობდნენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის—ქალაქ დრიზენისა და ძლიერ გამაგრებული ციხე-სიმაგრის კიუსტრინისათვის შეუპოვარ ბრძოლებში. დავით გურამიშვილი ამ ბრძოლების მონაწილეც იყო...

ჯერ კიდევ იმ დროს, ამ ორასი წლის წინათ, ქართველი მეომრები რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ, ერთად შევიდნენ ისინი ბერლინში და ერთად დაღარიბი სისხლით განამტკიცეს რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობა.

## საზღვარზე

ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომშიაც მოწინავე რიგებში იბრძოდნენ.

... 1944 წლის შემოდგომა იდგა. მტრის ურღოებისაგან გაწმენილი იყო ლიტველთა მიწა-წყლის უკანასკნელი კილომეტრები. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა არმია მიაღწა მდინარე ნემანს—სახელმწიფო საზღვარს.

ასეთივე მეთაური გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ბორის ჯიბლაძე პირველი მიიჭრა ნემანთან და ნაპირზე წითელი ალაში აღმართა. მის თვალწინ ქალაქი ტილზიტი გადაიშალა. აქ იყო საზღვარი, აქედან იწყებოდა ფაშისტური გერმანიის ბუნაგი.



გვარდიელი ერთი წუთით ჩაფიქრდა. ვინ იცის, მას ამ დროს, ალბათ, მოავონდა თავისი საქართველო, თავისი ოჯახი. მერე გამოერკვა ფიქრებიდან, დაიხარა და კარდალი წყლით აავსო.

— ესეც ასე, მშობლიური მიწა განთავისუფლებულია. მტერი განდევნილია, — ემაყოფილებით ჩაილაპარაკა ჯიბლაძემ.

მეორე ნაპირზე გერმანელებს ავებული ჰქონდათ ძლიერი სიმაგრეები, ტრანშეები, მავთულხლართები, აურაცხელი ძელმიწურები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი...

ყოველივე ეს უნდა გადაელახა ჩვენ ჯარს და ამით გზა გაეკვლია გერმანიის სიღრმეში.

გვარდიის კაპიტან ალექსანდრე ბიბილაშვილის მეომრებმა გაარდიეს გერმანელთა თავდაცვა. გადალახეს მდინარე, გამაგრდნენ მტრის ნაპირზე და გზა გაუხსნეს ჩვენს შემტევ ნაწილებს. მტერმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და კონტრშეტევაზე გადმოვიდა.

## გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ი ლ რ მ ე შ ი

იმ დროს, როდესაც გვარდიის კაპიტან ბიბილაშვილის მეომრები იგერიებდნენ ჰიტლერელთა გააფთრებულ შემოტევას, ჩვენი ჯარები სხვადასხვა ადგილას გადავიდნენ მდინარეზე და ღრმად შეიჭრნენ მტრის მიწა-წყალზე.

ქუმალდესი მთავარსარდლის ბრძანებები და მოსკოვის სალუტები მთელ ქვეყანას ამცნობდნენ საბჭოთა არმიის ძლევაშეძლიერ წინსვლას გერმანიაში. სტალინურ ბრძანებებში არაერთხელ იყვნენ ნახსენები გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძის, გენერალ-მაიორების ჯანჯღაგას, კალაძის, კობერიძის სწორკუთხედიანი მეომრები, ავიაციის გენერალ-მაიორის ტატანაშვილის უშიშარი მფრინავები, პოლკოვნიკ ვაგუას მამაცი კავალერისტები, პოდპოლკოვნიკ გრძელიშვილის შუაობიანი ტანკისტები, პოდპოლკოვნიკ ბარბაქაძის შეუღრეკელი არტილერიისტები.

თავის ძმებთან—რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ქართველი მეომრები ბერლინზე მიდიოდნენ. ფაშისტური გერმანიის დედაქალაქი ციციხლსა და კვამლში იყო გახვეული. საბჭოთა ჯარში სხვადასხვა ენაზე გაისმოდა ერთი ძახილი, — სიხარულითა და სიამაყით აღსავსე ძახილი:

— შევდივართ ბერლინში, შევდივართ ბერლინში!...

## ბ ი რ ღ ი ნ შ ი

და საბჭოთა მეომრები შევიდნენ ბერლინში. 1945 წლის მაისის დღეებში დაეცა გერმანიის დედაქალაქი. მესამეო შევიდა რუსთა ძლევაშეძლიერი ჯარი ბერლინში. 1760 წელს—პრუსიის მეფის ფრიდრიხ მეორის აგრესიონების ასალავმად, 1813 წელს—იეროპის ხალხების ნაპოლიონის უღლისაგან გასანთავისუფლებლად და 1945 წელს — გენიალური სტრატეგის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით თაშიზმის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად და ქვეყნიერებაზე მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ბერლინისათვის ბრძოლაში, რომელმაც ჰიტლერული გერმანიის ბიდი გადაწყვიტა, ქართველი მეომრები სახელოვნად მონაწილეობდნენ. ბერლინის ქუჩებში რუსულ „ურასთან“ ერთად ქართული „ვაშაც“ გაისმოდა.

17 აპრილს დაიწყო საბჭოთა არმიის ისტორიული შეტევა ბერლინზე. ოცდოთრმაათასმა ქვემეხმა და ნაღმმჭყოფრცხმა ერთდროულად გააჩაღეს გრიგალისებური ცეცხლი და პირველივე ზალპმა, როგორც საშინელმა მიწისძვრამ, შეაზანზარა ბერლინი.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ფაშიზმის ბუნაგს ცეცხლი რომ გაუჩაღა, იყო გვარდიის კაპიტან ურუშაძის ბატარია. მალე ჰიტლერელთა დედაქალაქისაკენ გაიჭრნენ პოლკოვნიკ ი. დ. ბაჩაკაშვილის ტანკისტები. 1945 წლის 23



აპრილს საბჭოთა ხალხი სიხარულით ისმენდა სტალინურ ბრძანებას, რომელიც მთელ მსოფლიოს აუწყებდა საბჭოთა ჯარების ბერლინში შესვლას. ამხანაგ სტალინის ამ ისტორიულ ბრძანებაში ნახსენები იყვნენ პოლკოვნიკ ბაჩაკა-შვილის ტანკისტები.

თანდათან ციწროვდებოდა ჩვენი რკალი გერმანელთა ჯარების ირგვლივ, რომლებიც ბერლინს იცავდნენ. ამ დაუფიქყარ წუთებში ყოველი პოლკი, ასეული თუ ოცეული, ყოველი საბჭოთა მეთომარი ერთი მისწრაფებით იყო გამსჭვალული—გადაეღახა უკანასკნელი ზღუდე, მოესპო უკანასკნელი ჰიტლერელი, შეჭრილიყო ბერლინში, პირველს მიეღწია რაიხსტაგამდე.

### გამარჯვების დროშა

დილით, 30 აპრილს პოლკოვნიკ ზინჩენკოს მებრძოლებმა, რომლებიც ბერლინის ქუჩებში შეუპოვარი ბრძოლებით მიიწვედნენ წინ, დაიხანეს უზარმაზარი რუხი შენობა. ეს რაიხსტაგი იყო. ამ დროს პოლკის მეთაურთან გამოუძახეს ორ მზვერავს—სერჟანტ მიხეილ ეგოროვს და უმცროს სერჟანტ მელიტონ ქანთარიას. პოლკოვნიკი კარგად იცნობდა მათ: ისინი მამაცი, შეუპოვარი მებრძოლები იყვნენ, ცეცხლსა და წყალში გამოვლილი და ნაწრთობი. პოლკოვნიკმა მათ ამოცანა დაუსახა: მებრძოლთა ჯგუფით გაჭრილიყვნენ რაიხსტაგისაკენ და მის თავზე აღეშართათ საბჭოთა დროშა.

— არის, შესრულებული იქნება!—იყო მზვერავების პასუხი.

მალე საბჭოთა მეთომრების ერთი ჯგუფი გაიჭრა რაიხსტაგისაკენ. წინ, წითელი დროშით მიუძღოდნენ ეგოროვი და ქანთარია. სწრაფად გადალახეს წყლით ავსებული არხი, გადაახტნენ ტრანშეებს და მიადგნენ რაიხსტაგის მთავარ შესასვლელს. ეგოროვმა და ქანთარიამ დროშა ჯერ მენობის ქვედა სართულის ერთ-ერთ სვეტზე აღმართეს, შემდეგ ხელყუმბარებით გაიკაფეს გზა და დროშა აიტანეს ჯერ მეორე, მერე მესამე სართულზე და ბოლოს სახურავზე ავიდნენ.

მტრის ტყვია სეტყვასავით უშენდა, მაგრამ მამაცი მზვერავები ყურადღებას არ აქცევდნენ ამას და განაგრძობდნენ სვლას სახურავზე—გუმბათისაკენ.

ოთხ ადვილას გახვრიტა ტყვიამ დროშა.

ქანთარია მარდად აცოცდა გუმბათზე და დაამაგრა დროშა.

ეს მოხდა 30 აპრილს 22 საათსა და 50 წუთზე.

წითელი დროშა ამაყად ფრიალებდა რაიხსტაგზე.

განა შეეძლო წაღწევის რაიონის სოფელ ჯვარის მცხოვრებ მელიტონ ქანთარიას, წარსულში უბრალო მწყემსს, ეფიქრა, რომ მას 25 წლის ასაკში ბედი არგუნებდა თავისი ხელით აღეშართა საბჭოთა ხალხის გამარჯვების დიდი დროშა აღმოდებულ ბერლინში?

დიდი საბრძოლო გზა განვლო მელიტონ ქანთარიამ, ვიდრე ამ უკვდავი გმირობით ისახელებდა თავს. ომმა მას ლიტვაში მოუსწრო, სადაც იგი სახედრო სამსახურში იმყოფებოდა. სმოლენსკთან დაიჭრა, შემდეგ ყუბანში იბრძოდა, მეორედ დაიჭრა, განიკურნა და კვლავ მწყობრს დაუბრუნდა. თავი ისახელა ქანთარიამ კავკასიის დაცვაშიც. აქედან, ამ მშობლიურ მთებრიდან კვალდაკვალ მისდევდა იგი საბჭოთა არმიის მიერ უკუქცეულ გერმანელებს.

\* \* \*

როდესაც ბერლინი დაეცა, ჩეჩელაშვილის ესკადრილის მფრინავები ბერლინის ერთ-ერთ კლუბში დაბინავდნენ. საღამოთი ისინი ერთობლივად სიმღერითა და ცეკვით.

— მეთაურმა უნდა გვიმღეროს ქართული სიმღერა,—ერთხმად მოითხოვეს მფრინავებმა.


— მარტო მე მეუხერხულება!

— არა უშავს, კაპიტან, შეგიწყობთ ხმას.

ოთარ ჩეჩელაშვილმა წამოიწყო „ციცინათელა“. მფრინავები აპყვნენ.

შორს, შორს გაიჭრა დამის სიჩუმეში ტკბილი ჰანგები.

დამარცხებული ბერლინი ისმენდა ქართული სიმღერის მელოდიას...







# მაისის სიმღერა

ალექო ზენაელი

ამნაირი გათენება  
მე არ ვიცი, მე არ მახსოვს,  
მზის სხივები ქუჩებს, სახლებს  
ვარდისფერებს ნაზად აქსოვს.

დილა მღერის მერცხლის ენით  
და სიხარულს მღერის გული,  
ეს სიმღერა მთებს და ველებს  
გადირბენს და გადაუვლის.

მაისია, მაისია,  
წარმტაცი და სანატრელი,  
თბილისს თავზე ეფინება  
სალუტის ხმა და ნათელი.

დიდი სიტყვა “გამარჯვება”  
ცხრა მაისის დილამ შობა,  
და მაისმაც ყვავილები  
არ დაზოგა შესამკობად.

გამარჯვება, გამარჯვება  
დაზგებსა და ხარაჩოებს.  
გამარჯვება, – ვინც ქვეყანას  
ზრუნვით თვალებს არ აშორებს.

ვინ დაეცა? გამარჯვებას  
ვინ შესწირა მედგრად თავი?  
რას ამბობენ ყვავილები  
ათასფერად მონართავნი!

ვკითხოთ ველებს, ვკითხოთ ქარ-  
ხნებს,

ახალ-ახალ ხარაჩოებს,  
ვკითხოთ გმირთა საფლავებზე  
მოციმციმე ყაყაჩოებს.

– არ მომკვდარა, ვინც სიკვდი-  
ლსაც

გამარჯვების მისცა ძალა,  
ვინც სიცოცხლემ შობელ ქვეყნის  
უკვდავებას ანაცვალა...

ეს სიმღერა დაჰლულუნებს  
ყაყაჩოთა შავ-მავ თვალებს,  
ასე მღერის ეს მაისი  
ვარდისფერად მონარნარე.

რა დიადი მაისია,  
წარმტაცი და სანატრელი,  
თბილისს თავზე ეფინება  
სალუტის ხმა და ნათელი.







# არამხუტუ

— შეხედე, შვილო მირიან, ყვირას მთას, როგორ ბიბინებს მის კალთებზე მწვანე ჯეჯილი... აი, იმ განმარტოებულ მწვერვალებს ქვემოთ გამოქვაბული რომ მოსჩანს, იქ თურმე ოდესღაც დევები ბინადრობდნენ, — უყვებოდა შვილიშვილს ბებია ლიდა — შორეულ წინაპართა მიერ გადმოცემულ ამბავს.

მაისის წყნარი ღლე იყო. ბებია და შვილი-შვილი სახლის წინ, ეზოში მოღზე ისხდნენ და ყვირას მთას გასცქეროდნენ. ჯარგვლის სვეტებზე მიბმული თხები აკაციის ფოთლებ-შემოცლილ ტოტებს მაღიანად კენეტდნენ. სამხრობა მოწეულიყო. პატარა მირიანს მეზობლის ნაფუძართან — ანწლიანებში უნდა გაერეკა ისინი, მაგრამ ბებიას მიერ მოყოლილმა ამბებმა ისე გაიტაცა, რომ თხები სულ გადაავიწყდა...

...და ის დევები, — განაგრძობდა ბებია ლიდა, — ერთმა გადამთიელმა ოჩოკოჩმა დააფრთხო, თურმე, სადღაც უფსკრულში გადაუჩეხავს, მას არამხუტუ რქმეგია სახელად. ყარაჩიდან გადმოსულა თურმე ის უძლეველი. იქ, მეფის სასახლეში დამწყვედიული მზის ასული მოუტაცია; გადმოულახავს კავკასიონის მთები, გზაზე ბევრი ნადირი მოუკლავს, ტყის კაცები და ავსულები კი სულ ერთიანად ამოუწყვეტია.

ბებიამ აქ თხრობა შესწყვიტა და ყანაში მომუშავე კოლმეურნეთა სიმღერას მიაყურა. სოფელში ყანის შორილი იყო. ენგურის სანაპიროებიდან მოისმოდა ტკბილი „ოღოია“.

— უსმინე შვილო, მირიან, რა ტკბილად მღერიან ჩვენი მოხუცები, ქვეყანაზე მშვიდობის მოსვლამ მათაც აუძგერა გული. ხომ ხედავ ჩალის ქუდიანი რა მარჯვედ იქნევს ოოხს. საწყალი ბაბუაშენი, მოხუცდა, მაგრამ ქედს მაინც არ იხრის, ღონეს იკრებს. აწი მას ამდენი შრომა და ჯაფა არ ეკუთვნის, მაგრამ იმ ურჯულოებმა ქვეყანასაც გაუჭირეს და ჩვენც...

— მერე რა ჰქნა ბებიო, არამხუტუმ? — მი-

რიანს ბოლომდე უნდოდა მოესმინა ბებიას მიერ წამოწყებული ამბავი.

— ჰო, ის იყო შვილო, არამხუტუ ენგურის ხეობით ჩვენს სოფელში — ჯვარში შემოვიდა. მთის გადმოღმელი დევები ყვირას მთაზე შეიკრიბნენ. ისინი მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ დაემარცხებინათ არამხუტუ. მან არც კი იკადრა ამ ქეციანების შერკინება და სწორედ მაშინ, როცა დევები ყვირას კალთებზე ბჭობდნენ, არამხუტუმ ოხაჩქედან უზარმაზარი ლოდი სტყორცნა მათ და მოუსაველეთში გადაჩეხა ისინი.

ახლაც გდია ყვირას მთაზე არამხუტუს ნასროლი ლოდი. მას ცერით რომ შეეხები, ქანაობს, ხოლო ასი უღელი ხარ-კამეჩი რომ შეუბა, ადვილიდან ვერ დასძრავ.

— მამაშენსაც ბავშვობისას არამხუტუს ვეცახოდით, შვილო მირიან, ენაცვალოს ღეღამისი, სადაც იყოს, — ბებიას თვალებზე ცრემლი მოადგა. ძალაუნებურად მოაგონდა ფრონტელი შვილი მელიტონი, რომელიც დიდი ხანია არ ენახა, არც არაფერი სმენია მის შესახებ. სადღაც შორს, უთვალავ ზღვებსა და მთებს გადაღმა — ქვეყნის ამწიოკებელს უტეგდა იგი.

...ისეთი მარდი და მკვირცხლი იყო, შვილო, მამაშენი, რომ ყარაჩულ ლაფშას გადაახტებოდა. ერთხელ დათვი დაკოდა ფანავის მთაზე. ტყვია რომ ვერ მოერია, დათვს თავად შეება და დანით აჩეხა. ამიტომ შეარქვეს მას არამხუტუ. ეს სახელი განსაკუთრებით მაშინ დაიმკვიდრა, როცა ჭვიბერის ტყეში დიდი ხანძარი ჩააქრო. მაშინ ხომ რჩეული ვაჟკაცები იხმეს ყოველი კუთხიდან. მელიტონი აბა როგორ დარჩებოდა შინ ასეთ ღროს. სოფელში საარაკოდ დაჰქონდათ მისი ამბავი. ხანძრის ჩასაქრობად ტყის შუაგულში შეჭრილს ირგვლივ შემოერკალა თურმე ცეცხლი. ნარებით შენასკულ ტყეს ტკაცუნით ეღებოდა ხანძარი. მელიტონი დამწვარი ეგონათ; ამ ღროს ხანძარმოდებულ ტყიდან



ქურციკით გამოხტა იგი. მერე დღეს ტყეში მხოლოდ კვამლი ბოლავდა... ვაჟაკებს ხანძარი ჩაქროთ... ენაცვალოს დედამისი, ჩემს დევაკს, ჩემს არამხუტუს!

მირიანი, რომელიც აქამდე გატაცებით უსმენდა ტკბილმოუბარ ბებიას, უცებ ფიქრებმა შეიპყრო. მოაგონდა დიდი ხნის უნახავი მამა. ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები და მამის ჭკვიანური დარიგებანი:

— ოჯახს შენი იმედით ვტოვებ, შვილო მირიან, შენ იცი და შენმა ბიჭობამ. ნურც სკოლას მოცდები და ოჯახსაც ხელი მოუშართე, მალე მეც დავბრუნდებიო...

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ... მაგრამ მამის დაბრუნებას დასასრული არ უჩანდა. უკანასკნელად წერილიც არ მოდიოდა მისგან...

ბებია ლიდაც შვილზე ფიქრს მიეცა, ერთი მწარედ ამოიოხრა და თვალი ყანაში მომუშავე გლეხებს მიაპყრო. იქიდან კვლავ ისმოდა ტკბილი „ოღოია“...

უცებ ღობის გადაღმა, ნორჩ სიმინდებში რაღაცამ გაიფაჩუნა, ძალაუნებურად ორთავემ მიიხედეს. მირიანის დედა ბარბაღე გადმოდიოდა კიბეზე. მას წისქვილიდან ფქვილი მოჰქონდა. აღმართზე მძიმე ტვირთით ხასიარულევს ლოყებზე აღმური ასდიოდა. დედამთილს შეეცოდა რძალი, პატარა მირიანს თქმა არ დაჭირვებია, გაიქცა და დედას მიეშველა.

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა მოისმა. მახლო ბელ სარზე ჩაბლახიანი მგედარი გამოჩნდა. იგი ქანთარიების სახლისაკენ მოაჭენებდა ცხენს.

მგედარი როგორც კი გადმოსცდა პატარა გორაკს, ლიდამ უმაღვე იცხო სოფლის ფოსტალიონი, რომელიც დიდი ხანია მისი ოჯახის სტუმარი არ ყოფილა. შიშმა აიტანა მოხუცი. ვაი, თუ ფოსტალიონს შვილის შესახებ ცუდი ამბავი მოჰქონდისო.

— ნეტავ, ის ბერიკაცი მაინც სახლში იყოს, რომ ერთად დავუხვდეთ მოახლოებულ უბედურებას, — გაიფიქრა ლიდამ, თმა აეშალა... მაგრამ ფიქრის

დროც აღარ იყო. მგედარი პირდაპირ ეზოში შემოიჭრა. სამუგის ჩანთიდან წერილი ამოიღო, მარჯვენა ხელით ჰაერში შეათარე და ხმამაღლა შესძახა:

— გაიხარეთ, კარში გამოდით, კეთილის მახარობელი ვარ...

შიშით გაოგნებული ლიდა წამოდგომას ვერ მიმხდარიყო. ხოლო დადლილმა რძალმა რაღაც გაურკვეველის მოლოდინში ვაშლის ჩრდილში მოიკეცა. ფოსტალიონი ცხენიდან ჩამოხტა, მირიანი მალე მასთან გაჩნდა. ფოსტალიონმა ჩაბალახი მოიხადა და მოლზე მჯდომ ლიდას ხმამაღლა მიაძახა:

— მომილოცნია ლიდა, შენი მელიტონის გაძარჯვება! ბერლინში მას პირველს აღუმართავს გამარჯვების დროშა! წამოდექი, გაიხარე, ქვეყანა შენს შვილზე ლაპარაკობა...

ამის გამგონე ბარბაღე დაიბნა. უცებ გერავითარი საპასუხო სიტყვა ვერ გასონაბა, ვერც ადგილიდან დაიძრა... სიხარულითა და ცნობის მოყვარეობით ათრთოლებული ლიდა კი ფეხზე წამოდგა, რეტდასხმულივით მიიჭრა ფოსტალიონთან, ხელიდან გამოსტაცა წერილი და გულზე მიიჭრა, სიხარულის ცრემლმორეულმა თითქოს გამარჯვებულ შვილს შესძახა:

— გენაცვალოს დედაშენი, ჩემო ბიჭო, ჩემო არამხუტუ!

მელიტონ ქანთარიას გმირობამ მთელი სოფელი აალაპარაკა და სიამაყის გრძნობა ააქვს.







რეზუმე მაკმიანი

ვინც მთელ წელს იყო ბეჯითი,  
ვინც გულმოდგინედ სწავლობდა,  
მას რისი შეეშინდება,  
მისთვის რა არის გამოცდა?!

მთელ წელს თუ იყო ძალსაზი,  
წიგნების კითხვით გართული,  
აბა, რა გასაკვირია  
სუთზე იცოდეს ქართული!

ვინც მუდამ იყო ბეჯითი,  
ყოველდღე სწავლას ჩვეული,  
მას მხოლოდ სუთიანებით  
ამოწმებს სკოლის რეგული.

მას რისი შეეშინდება,  
მისთვის რა არის გამოცდა,  
ვინც მთელ წელს იყო ბეჯითი,  
ვინც გულმოდგინედ სწავლობდა!







# ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მეცნიერებას

ოცი წლის წინათ, 1928 წლის 5 მაისს, ქალაქ მოსკოვში გაიხსნა საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მერვე ყრილობა, რომლის მუშაობას საფუძვლად დაედო ჩვენი პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებები.

იმ პერიოდში ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული იყო ამოცანა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივი გაშლისა. მზადდებოდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პირველი სტალინური ხუთწლიანი გეგმა, საბჭოთა ქვეყნის დიდ გარდაქმნათა გეგმა.

კომკავშირის მერვე ყრილობამ, პარტიის ისტორიულ მითითებების საფუძველზე, თავის გადაწყვეტილებებში დასახა პირველი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებისათვის კომკავშირის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა.

მერვე ყრილობაზე კომკავშირს გადაეცა ბრძოლის წითელი დროშის ორდენი, რომლითაც იგი საბჭოთა მთავრობამ სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად წითელი არმიის 10 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვა.

საბჭოთა მთავრობისაგან პირველი უმაღლესი ჯილდოს მიღებისას ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა, საკ. ალკვ VIII ყრილობის ტრიბუნიდან სსრ კავშირის ყველა კომკავშირელს, ყველა ახალგაზრდა მუშასა და გლეხს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

„თქვენი სახელით, ლენინელების ორმილიონიანი არმიის სახელით, ყრილობა უცხადებს საბჭოთა კავშირის მთავრობას:

...ჩვენ არასოდეს არ შევარცხვენთ წითელი დროშის ორდენს, რომელიც ჩაგვაბარეს დღეს. ჩვენ ფიცს ვდებთ გავამართლოთ იგი, ფიცს ვდებთ შევმოსოთ ახალი შარავანდით წითელი არმიის წითელი დროშები და წითელი ფლოტის წითელი აღმები...

...ჩვენ საზეიმოდ აღვუთქვამთ საბჭოთა მთავრობას, რომ მხურვალე მონაწილეობას მივიღებთ მის ყველა წამოწყებასა და მთელ მის მუშაობაში. მიხდვარ და ქარხნებში, წითელარმიელთა ყაზარმაში და კოოპერატივის დახლთან ვაკეთებთ ჩვენს პატარა საქმეს და გვეხსომება, რომ იგი ნაწილია იმ

დიდი საქმისა, რასაც ეწოდება სოციალიზმის მშენებლობა“.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა 20 წლის მანძილზე გამართული ბრძოლითა და თავდადებული შრომით წმიდად ასრულებდა და ასრულებს მერვე ყრილობაზე საზეიმოდ მოცემულ აღქმას.

საკ. ალკვ VIII ყრილობის საბოლოო სხდომაზე, 1928 წლის 16 მაისს, კომკავშირის ამოცანების შესახებ ისტორიული სიტყვით გამოვიდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადი, ახალგაზრდობის საყვარელი მეგობარი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

თავის სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა ახალგაზრდობას დაწვრილებით განუმარტა ვითარება, რომელშიც იმ დროს ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა და ამ ვითარებიდან გამომდინარე, სამი ძირითადი საბრძოლო ამოცანა დაუსახა კომკავშირს.

პირველი ამოცანა: „განამტკიცეთ მუშათა კლასის საბრძოლო მზადყოფნა“.

მეორე ამოცანა: „მოაწყეთ მასობრივი კრიტიკა ქვემოდან“, დაუნდობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, მასობრივი კრიტიკის ორგანიზაცია ქვემოდან. ხალხისაგან.

მესამე ამოცანა: „ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მეცნიერებას“.

იმ დროს ჩვენს ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში შენებისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის მსურველი ბევრი იყო, ხოლო ისეთი ადამიანები, რომელთაც მშენებლობისა და ხელმძღვანელობის უნარი გააჩნდათ, ძალზე ცოტა მოიპოვებოდა.

„შენება რომ შესძლო, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერებას დაეუფლო. სწოლო თუ ცოდნა ვინდა, უნდა ისწავლო. ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით...“

...ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე-სიმაგრეს ეწოდება მეცნიერება თავის ცოდნათა მრავალნაირი დარგით. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ რაღაც უნდა დაგვიკედეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს ახალი ცხოვრების



მშენებელი იყოს, თუ მას სურს ძველი გვარ-  
დიის ნამდვილი შემცველი გახდეს...

რევოლუციური ახალგაზრდობის ლაშქრო-  
ბა მეცნიერებაში — აი რა გვესაჭიროება,  
ამხანაგებო, ამჟამად“.

კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა  
უდიდესი აღფრთოვანებით, ენთუზიზმით  
გამოეხმაურა საყვარელ ბელადისა და მას-  
წავლებლის მოწოდებას.

მარტო 1929-30 წლების განმავლობაში  
კომკავშირის საგზურებით მუშათა ფაკულ-  
ტეტებზე სასწავლებლად 15.000 ახალგაზრდა  
წავიდა, უმაღლეს სასწავლებელში შესა-  
ვლელად მოსამზადებელ კურსებზე—20.000,  
პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებსა და  
ტექნიკუმებში — 5.000 და ასე შემდეგ.

ასრულებდა რა ლენინის ანდერძს და  
სტალინის ისტორიულ მითითებებს, კომკავ-  
შირი ახალგაზრდობის ნამდვილ ლაშქრობას  
აწყობს მეცნიერებაში. კომკავშირმა აღზარ-  
და სოციალიზმის ასეული ათასი ახალგაზრ-  
და მშენებელი, ნამდვილი სპეციალისტები  
ცოდნათა ყველა დრგში. კომკავშირი გა-  
მუდმებით ავსებდა და ავსებს საბჭოთა ინ-  
ტელიგენციის რიგებს.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირა-  
დად დიდი სტალინის მამობრივი მზრუნვე-  
ლობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში განხორ-

ციელებული იქნა ჭეშმარიტად კულტურუ-  
ლი რევოლუცია, შეიქმნა ყველა პირობა  
საბჭოთა ხალხისა და მისი მოზარდი რიგების  
ყოველმხრივი განვითარებისათვის. რისა და განათლების ამოღებისათვის.

სსრ კავშირი უკვე 1938-39 წლებში მსოფ-  
ლიოში პირველ ადგილზე იყო მოსწავლეთა  
რიცხვით საერთო-საგანმანათლებლო სკო-  
ლებში და 1,2-ჯერ მეტი მოსწავლე ჰყავდა  
ამ სკოლებში, ვიდრე დიდ ბრიტანეთს,  
გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ერთად  
აღებულს. სტუდენტთა რაოდენობა სსრ კავ-  
შირში 1,4-ჯერ მეტი იყო, ვიდრე აღნიშ-  
ნულ ქვეყნებში იაპონიასთან ერთად.

ბელადის მოწოდების საპასუხოდ მეცნიე-  
რებაში ლაშქრობამ მოიცვა არამარტო სას-  
წავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობა.  
ასი ათასობით ჰაბუკი და ქალიშვილი გა-  
ნათლებას ღებულობდა წარმოებიდან მოუწყ-  
ვეტლად, თავდადებულ შრომას ათავსებდა  
გულმოდგინე სწავლასთან.

დიდი სამამულო ომის გამოცდილებამ  
თვალნათლივ დაგვანახა მეცნიერებაში ახალ-  
გაზრდობის ლაშქრობის უდიდესი მნიშვნე-  
ლობა. ბრძოლის ფრონტებზე წავიდა კვალი-  
ფიციური მუშების, სოფლის მეურნეობის  
სპეციალისტთა, მეურნეთა საგრძობი ნაწი-  
ლი. მიუხედავად ამისა, ჩვენი მრეწველობის  
სა და სოფლის მეურნეობის შრომის ნაყო-  
ფიერება განუწყვეტლივ იზრდებოდა, რომ-  
ლის ერთერთ მნიშვნელოვან პირობას წარ-  
მოებაში მცოდნე, განათლებული, შეგნებუ-  
ლი ახალგაზრდობის მოსვლა წარმოადგენდა.

ამავე თვისებათა შედეგად საბჭოთა არ-  
მიის ახალგაზრდა მეომრები სწრაფად დაე-  
უფლნენ ურთულეს სამხედრო ტექნიკას და  
მოკლე დროში ომის მსვლელობისას საბჭო-  
თა არმია მსოფლიოში უძლიერეს, პირველ-  
ხარისხიან კადრულ არმიად გადაიქცა.

„ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მეცნი-  
ერებას“ — დიდი სტალინის ამ მოწოდებას,  
რომელიც ისევე უღერს ახლა, როგორც 20  
წლის წინათ, საბჭოთა ახალგაზრდობა, კომ-  
კავშირელები, პიონერები და მოსწავლეები  
ახალ-ახალი საგმირო საქმეებით უპასუხე-  
ბენ, გულმოდგინეთ და შეუპოვრად ეუფლე-  
ბიან ცოდნას, იზრდებიან ჩვენი ქვეყნის  
ღირსეულ მოქალაქეებად დედა-სამშობლოს  
ღიღებლისა და ძლიერების კეთილდღეობისა-  
თვის.

ნიკოლოზ ჯაფი







# ნიშნების საუბარი

ინსცენირება ერთ სურათად

მონაწილენი

- გივი — მოწაფე.
- სუთიანი
- ოთხიანი
- სამიანი
- ორიანი
- მართიანი

ცოდნის შეფასების ნიშნები.

სცენა წარმოადგენს ოთახს. შუაში მჯდოდა. ზედ საწერ-კალამი, რვეულები და წიგნები აწყვია. შემოდის გივი, აღფრთოვანებულია.

I

გივი — (აღტაცებით)

გაზაფხულდა! ლაფვარდიდან დაგვკაშკაშებს ბრწყინვალე მზე!.. ოჰ! როგორ მსურს მინდვრად რბენა, ვიოცნებო ყვავილებზე!

მშვენიერია გაზაფხული! ნამდვილი ნეტარება! გული სიამოვნებით ძგერს და გარეთ მიიწევს — ბუნების წიაღში! (მცირე პაუზა) მაგრამ რა დროს ეს არის! წლიური გამოცდების დრო მოახლოვდა და საჭიროა ვიფიქრო ამაზე, საიდან დავიწყო, რა ვაკეთო, როგორ მოვიქცე?! (ჩაუღქრდება. შემოდის სუთიანი და ზურგს უკან მოუდგება. მისი ხმა მტკიცეა. სიარულში სიამაყე ემჩნევა).

2.

სუთიანი — მე გიტყვი, როგორ უნდა მოიქცე!

გივი — (შეკრთება) ეს ვისი ხმაა?!

სუთიანი — მე, აი, რას გავალებ!

გივი — აბა! გისმენ!

სუთიანი — გავლილი მასალა სავსებით შეგნებულად, მტკიცედ და საფუძვლიანად შეისწავლე! არც ერთი წერილმანი, არც ერთი უმნიშვნელო რამ მხედველობიდან არ გამოგორჩეს! თხრობა შენი უნდა იყოს მკაფიო, მოქნილი და გამართული ლიტერატურული ენით დაშვებებული! მაშინ მე შენი მეგობარი ვიქნები!

გივი — ვთქვათ, რამენაირად ენა ამერია?!

სუთიანი — (შკაპრად) ოჰ! ოჰ! ოჰ!

გივი — ან მცირედი რამ დამაფიქვდა?

სუთიანი — აბა! პა! პა! პა! პა!

გივი — სულ უბრალო...

სუთიანი — არავითარ შემთხვევაში!

გივი — დიდი წუნია და ხსტიკი ვინმე ბრძანებულხარ!

სუთიანი — (მდერის)

მართალია, წუნია ვარ,

მეტად მკაცრი, მეტად მტკიცე!

მაგრამ მაინც მიუწვდომი

არ ვარ, თუნდა შემოგვიცებ!

გივი — გამაგებინე, ვინა ხარ ეგრე არაჩვეულებრივად მტკიცე და ამაყი?!

სუთიანი — სუთიანი მქვია სახელად!

გივი — აბა!..

სუთიანი — დიას!

გივი — (დაფიქრებით) სუთიანი...

სუთიანი — რას მტყვი?!

გივი — ვნახოთ, მოვიფიქრებ!

სუთიანი — მაშ, მოვიციდი! (აგანსცენაზე

წამოვა და გვერდზე მიდგება. გივი ფიქრს მიეცემა. შემოდის ოთხიანი. მისი ხმა დაახლოებით ისეთივეა, როგორც სუთიანის, მხოლოდ იმგვარი სიამაყე არ ემჩნევა).

3

ოთხიანი — რაო, არ მოგეწონა მაგისი ლაპარაკი?!

გივი — ეს ვილაა?!

ოთხიანი — თუ გინდა, მე გავხდები შენი მეგობარი!

გივი — ვინა ხარ-მეთქი?!

ოთხიანი — მე მაგისი უმცროსი ძმა ვარ!

გივი — ძმა?!

ოთხიანი — ერთიმეორეს ძალიან ვგვყავართ!

გივი — მართლა?!

ოთხიანი — დიას! მე აი, რას გავალებ:

გივი — აბა!

ოთხიანი — გავლილი მასალა შეისწავლე საფუძვლიანად! თხრობა შენი უნდა იყოს მკაფიო, ნათელი, დალაგებული! რა თქმა უნდა, გამართული ლიტერატურული ენით! თხრობის დროს არაფერი გამოგორჩეს... ყოყმანი არსად დაიწყო...

გივი — (აწყვეტიანებს) მოიცა... მოიცა...

ოთხიანი — რა იყო?!

გივი — მართლა ძალიან შავხარ შენს უფროს ძმას!

ოთხიანი — აკი გითხარი!

გივი — ყველაფერში მას ბბაძე...

ოთხიანი — თითქმის...

გივი — მერე, საკუთარი რამ არაფერი უნდა გაგაჩნდეს?!

ოთხიანი — როგორ არ გამაჩნია!

გივი — აბა, რა?!

ოთხიანი — მე იმასავით უკიდურესი მკაცრი არა ვარ!

გივი — მართლა?!

ოთხიანი — ერთი, ან ორი უმნიშვნელო რამ შეიძლება დაგითმო!

გივი — ზოო?!

ოთხიანი — (გაფრთხილებით) ეს კი არ დავაიწყებ: ერთი, ან ორი და ისიც უმნიშვნელო: მესამე, ან მეოთხე ხარისხიანი!

გივი — ვთქვათ ცოტა მნიშვნელოვანი იყოს?!

ოთხიანი — არა, ვერ მოგიტოვებ!

გივი — აჰ!

ოთხიანი — მაგის ატანა არ შეიძლება!





ბიზი — არც შენ ბრძანებულხარ ლმობიერი!  
შენი სახელი?  
ოტხიანი — ოთხიანს მეძახიან!  
ბიზი — ოთხიანი?  
ოტხიანი — დიას! (მღერის)  
კოდნა მტკიცე, თბრობა კარგი,  
მოსაწონი, გასაგები...  
დალაგება მასალისა —  
მოხდენილი, შესაქები  
ბიზი — (დაფიქრებული) მესმის!  
ოტხიანი — რას მტყუვი?  
ბიზი — დაცვა, მოვიფიქრებ!  
ოტხიანი — მაშ, მოგიცდი! (ხუთიანს ამოუ-  
დგება გვერდით. შემოდის სამიანი. თითქოს კო-  
ქლობს, შეუმჩნევლად. სიამაყე არა აქვს).

4.

სამიანი — (მორიდებულიად) თუ შეიძლება...  
ბიზი — შენ ვილა ხარ?  
სამიანი — მომისმინეთ!  
ბიზი — თქვენ ვინაობა?  
სამიანი — ახლა რომ გელაპარაკებოდა, მა-  
გისი მეზობელი ვარ!  
ბიზი — ძმა, თუ მეზობელი?  
სამიანი — მეზობელი-მეთქი! მხოლოდ ნა-  
თესაობითაც უცხონი არა ვართ!  
ბიზი — აჰა!  
სამიანი — ეგ ზემოდ ცხოვრობს, მე ქვე-  
მოლ!  
ბიზი — მერე, რა გინდა?  
სამიანი — გავიგე, თურმე მეგობარს ეძებ!  
ბიზი — მერე?  
სამიანი — თუ ჩემს მეგობრობას ისურვებ...  
(ახველებს).  
ბიზი — განაგრძე!  
სამიანი — თუ ჩემი მეგობრობა გინდა... აი,  
როგორ უნდა მოიქცე...  
ბიზი — აბა, ბრძანე!  
სამიანი — არა, დიდი პატივისცემის ღირსი  
არ გახლავარ, რა უნდა გიბრძანო, უბრალოდ  
გეტყვი!  
ბიზი — ბიჭოს?! ეს რა თავმდაბლად ლაპარა-  
კობს?  
სამიანი — ყური დამიგდე!  
ბიზი — გისმენ!  
სამიანი — გავლილი მასალა ძირითადად  
შეისწავლე! უხეში შეცდომები არ დაუშვა! უმე-  
ტესი ნაწილი მასალისა გარკვეულად გესმოდეს!  
რაც მთავარია, არ დაივიწყო თბრობის დროს სა-  
კითხების თანხმდევრობა, არ დაარღვიო...  
ბიზი — (აწყვეტინებს) მოიცა... მოიცა...  
სამიანი — რა იყო?  
ბიზი — შენ ეს მითხარი: „ბუნების მეგონე-  
ნი“ არ წაგიკითხავს?  
სამიანი — ეგ ვინაა? დაცვა... (იგონებს) ჰო...  
ჰო!.. ვუთ-ფშაველახსი...  
ბიზი — დიას!  
სამიანი — მერე?  
ბიზი — ბუღალურების იუბილესე ერთი ფრი-  
ნელი ლაპარაკში რომ ჰმადგა არწივს...  
სამიანი — მახსოვს...  
ბიზი — შენც ისე მოგდის!  
სამიანი — როგორ?  
ბიზი — თითქოს შენს მეზობელს, ოთხიანს,

ჰმადგ, მაგრამ...  
სამიანი — ეჰ, რა ვქნა...  
ბიზი — კარგი, განაგრძე!  
სამიანი — რა განაგრძო?  
ბიზი — რაზედაც მელაპარაკებოდი!  
სამიანი — ჰო, იმას ვამბობდი... უმეტესი მა-  
სალისა გახსოვდეს, მთავარი და ძირითადი არ  
დაივიწყო-მეთქი!  
ბიზი — ვთქვით, დამავიწყდა?  
სამიანი — უნდა მოიგონო!  
ბიზი — ვთქვით, ველარ მოვიგონე?  
სამიანი — არ შეიძლება, უნდა მოიგონო და  
განაგრძო!  
ბიზი — შე ისე მეგონა, შენ ძალიან მშვიდო-  
ბიანი და სულ დამთმობი იქნებოდი! თურმე, არც  
ისე ხატრიანი ყოფილხარ!  
სამიანი — მაგას რად ამბობ?  
ბიზი — ვანა მართალი არ არის?  
სამიანი — (მღერის)  
თუ რამ შეგცდა, დავითმობ.  
როდი გაკვირდება!  
მხოლოდ რომ წაგვიბიძგებ,  
ეს ნუ გაკვირდება!  
ბიზი — არც შენთან მეგობრობა ყოფილა  
ადვილი!  
სამიანი — აგრე კია და...  
ბიზი — შენი სახელი?  
სამიანი — სამიანს მეძახიან!  
ბიზი — სამიანი?  
სამიანი — დიას!  
ბიზი — გასაგებია!  
სამიანი — სხვათა შორის საკლასო უსრნა-  
ლებში უმეტესად ჩვენა ვართ დასახლებულნი!  
ბიზი — ვიცო!  
სამიანი — ახლა რას მტყუვი?  
ბიზი — რა გნებავს?  
სამიანი — ისურვებ ჩემთან მეგობრობას,  
თუ არა?  
ბიზი — მოითმინეთ, ჯერ ვიფიქრო!  
სამიანი — მაშ მოგიცდით (ოთხიანს ამოუდ-  
გება გვერდით. შემოდის ორიანი. ებამოღრტეო-  
ლი. ორივე ფხვით კოქლი. მახინჯი).

5.

ორიანი — ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!  
ბიზი — ეს ვილა მოეხეტა?  
ორიანი — ახლა მეც მომისმინე!  
ბიზი — გამაგებინე, ვინა ხარ!  
ორიანი — მე მაგათი შორეული მეზობელი  
ვარ!  
ბიზი — როგორ, შორეული?  
ორიანი — ეგ სამნი წყაღაღაღა ცხოვრობენ,  
და მე და ჩემი ძმა გამოღმა!  
ბიზი — ძმაცა გყავს?  
ორიანი — ჰო, ჩემზე უმცროსია!  
ბიზი — კარგი, მაგრამ რა გინდა?  
ორიანი — უნდა გკითხო, ჩემთან მეგობრო-  
ბას ხომ არ ისურვებ-მეთქი?  
ბიზი — აბა, შენ რაღას მტყუვი?  
ორიანი — გავლილი მასალა გინდა გადაათვა-  
ლიერე და გინდა არა...  
ბიზი — მერე?  
ორიანი — ჰო-და, რაც გაიგო და რაც ვერა,







რაც იცი და რაც არ იცი, ადექი და ყველაფერი თქვი!

ბიჭი — (გაოცებული) რას ამბობ, არ მესმის?!  
 ო.რიანი — ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ვერ გაიგე?!  
 ბიჭი — ვერა!  
 ო.რიანი — ყველაფერი თქვი, ყველაფერი!  
 ბიჭი — როგორ, ყველაფერი?!  
 ო.რიანი — რაც იცი.  
 ბიჭი — რაც არ ვიცი?!  
 ო.რიანი — ისიც თქვი!  
 ბიჭი — (თავისთვის) რა უცნაურად ლაპარაკობს!  
 ო.რიანი — ხა! ხა! ხა! ხა! ხა!  
 ბიჭი — რაც არ ვიცი, ის როგორღა უნდა ვთქვა?!  
 ო.რიანი — ისე, როგორც მოახერხო!  
 ბიჭი — კარგი, შენ ეს მითხარი: თანმიმდევრობით და დალაგებულად?!  
 ო.რიანი — დალაგებულად კი არა, გადალაგებულად არ გინდა!..  
 ბიჭი — სუფთა, წმინდა ენით?!  
 ო.რიანი — ნეტავი რას არატუნებ! ამღვრეული და ტალახიანი ენა აბა სად გინახავს?!  
 ბიჭი — რამე მნიშვნელოვანი საქითხი რომ გამოჩინებს?!  
 ო.რიანი — არაფერიც არა უშავს!  
 ბიჭი — თბრობის დროს რომ გაწერდე და ვეღარ დავამთავრო?  
 ო.რიანი — მერე რა?!  
 ბიჭი — მასწავლებელი არ გაჯავრდება?!  
 ო.რიანი — რა არის აქ გასაჯავრებელი?!  
 თუ ლაპარაკი ეხალისება, ადგეს და თვითონ განაჯავროს.  
 ბიჭი — კარგი, მაგრამ რა შედეგი მოჰყვება ამას?!  
 ო.რიანი — თავს დაგანებებს და დაგსვამს... მე კი უურნალონი ჩამსვამს.  
 ბიჭი — დედას რა ამბავი მიფუტანო?!  
 ო.რიანი — სუ! გაჩუმდი!..  
 ბიჭი — რატომ?!  
 ო.რიანი — მე ამბის მიტანა ძალიან მეგავრება!  
 ბიჭი — მაშ, გამოცდებისათვის...  
 ო.რიანი — (აწყვეტილებს) გამოცდებზე რაღა გინდა?!  
 ბიჭი — როგორ თუ რა მინდა?!  
 ო.რიანი — შენ თუ ახლავე ჩემი მეგობარი გახლები, მაისიდან სექტემბრამდის ისე დაგასვენებ, რომ...  
 ბიჭი — რას ამბობ, არ მესმის?!  
 ო.რიანი — მაშ, როგორ გგონია?!  
 ბიჭი — კარგი, მაგრამ სექტემბერში რომ სწავლა განახლდება, რომელ კლასში დამსვენებენ?!  
 ო.რიანი — შეჩვეულ ადგილს რა სჯობია?!  
 ბიჭი — რაღაც არ მომწონს შენი ლაპარაკი!..  
 ო.რიანი — რატომ არ მოგწონს?!  
 ბიჭი — კარგს არაფერს მირჩევს!  
 ო.რიანი — (მღერის)  
 გაკვეთილის ხშირი კითხვა  
 მე არ მიყვარს, არა, არა:  
 აქა-იქა ცოტა რამე  
 დაიხსომე, ისიც კმარა!  
 ბიჭი — შენი სახელი?!  
 ო.რიანი — ორიანს მეძახიან!  
 ბიჭი — წადი, მოშორდი!  
 ო.რიანი — არა, მოვიციდი! (სწავლის) ჩემი  
 გება გვერდით. შემოდის ერთიანი თვალგაღ-  
 მოკარკული, კოკლი, დაბალი, ყოველმხრივ მა-  
 ხინჯი).



6.

მართიანი — ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!  
 ბიჭი — (გაოცებით) ეს ვილაა?!  
 მართიანი — ახლა რომ გელაპარაკებოდა, მა-  
 გისი უმცროსი ძმა ვარ!  
 ბიჭი — შენ უფრო ჰკვიანი ხარ, თუ შენა  
 ძმა?!  
 მართიანი — ეი, ეგ დიდი და...  
 ბიჭი — შენ რაღად მოხველი?!  
 მართიანი — შენზე გავიგე, მეგობარს ეძებ-  
 ხო!  
 ბიჭი — მერე?!  
 მართიანი — თუ მიკადრებ...  
 ბიჭი — აბა, შენ რაღას მირჩევს?!  
 მართიანი — მე არაფერსაც არ ვირჩევ!  
 ბიჭი — მაინც?!  
 მართიანი — სულ ნუ გაეკარები წიგნებს!  
 ბიჭი — მასწავლებელი რომ მომითხოვს გა-  
 ყეთოს?!  
 მართიანი — გაჩუმდი.  
 ბიჭი — რომ ჩამაცივდეს?!  
 მართიანი — ადექი და ერთი სიტყვა გადაუ-  
 გდე!  
 ბიჭი — რა სიტყვა?!  
 მართიანი — „არა“.  
 ბიჭი — (თავისთვის) შენც უცნაურად ლაპა-  
 რაკობ! რა ხასიათისა ყოფილხარ!  
 მართიანი — (მღერის)  
 მე ასეთი თვისება მაქვს,  
 რადგანაც ვარ სულ პატარა,  
 როცა ვინმე რამეს მკითხავს,  
 ვუპასუხებ: „არა!“ „არა!“..  
 ლაპარაკი მეჯავრება,  
 არ გახლავარ მეტიარა...  
 გაკვეთილის სათაური  
 თუ ვისწავლე, ისიც კმარა!  
 ბიჭი — შენი ძმის გარდა, სხვას არავის იც-  
 ნობ?!  
 მართიანი — არა!  
 ბიჭი — რომ დავამეგობრო, დამემზარები რა-  
 მეში?!  
 მართიანი — არა!  
 ბიჭი — შენი სახელი?!  
 მართიანი — (უაზროდ) არა!  
 ბიჭი — რა ვკვირ-მეთქი?!  
 მართიანი — არა!  
 ბიჭი — (თავისთვის) გიჟი ხომ არ არის?!  
 მართიანი — არა!  
 ბიჭი (დაუყვირებს) შენ ვინა ხარ, ვინა?!  
 მართიანი — მე?!  
 ბიჭი — ჰო, შენა!  
 მართიანი — აი, ეხა ვარ!  
 ბიჭი — რას გეძახიან?!  
 მართიანი — ერთიანი მკვია!  
 ბიჭი — გასწი, მოშორდი, აქედან. შე გამო-  
 ტენებულლო, შენა!  
 მართიანი — არა, მოვიციდი! (ორიანს ამოულ-  
 ვება. გივი ჩაეჭირდება).



ბიჭი — (პაუზის შემდეგ). მას, ასე!  
**სუთიანი** — ახლა არჩევანი შეწყდა!  
**ოთხიანი** — როგორ მოიქცევი?  
**სამიანი** — ვის ირჩევ?  
**ორიანი** — მე და ჩემს ძმას?  
**პრტიანი** — არა?  
**ბიჭი** — მომისმინეთ! მე მინდა გამოცდებზე  
 გამარჯვება და შემდეგ კლასში გადასვლა!  
**სუთიანი** — მე გადაგაფრენ!  
**ოთხიანი** — მე გადაგახტუნებ!  
**სამიანი** — მე გადაგაჩანჩალებ!  
**ორიანი** — (ერთიანს) ჩვენა? ვაფუშვათ?  
**პრტიანი** — არა.  
**ბიჭი** — საკმარისია. ყველა თქვენგანი კარ-  
 ვად გავიცანი! თქვენ აღნიშნეთ თქვენი თავის  
 ღირსებაც და ნაკლიც! თქვენს შორის მე ერთი  
 უნდა ავირჩიო მეგობრად!

**სუთიანი** — მე ამირჩევს!  
**ოთხიანი** — ვგონებ, მე!  
**სამიანი** — შეიძლება მე!  
**ორიანი** — მე! მე!  
**პრტიანი** — თქვენ კი არა, მე!  
**ბიჭი** — (ერთიანს)  
 უპირველესად უნდა  
 მე შენ წავაგვლო ხელი!  
 უოფილნარ მეტად ბრიყვი,  
 ჩერჩეტი, ჭკუათხელი!  
 ნეტავ პატრონი ვინ გუჯვს,  
 ვისი ხარ, ან ვინ გივლის?!  
 გულმა შენდამი იგრძნო  
 უნომო სიძულელი!  
 გამშორდი, გაეთრიე, შე უფიცობის  
 ბუდე!

**პრტიანი** — მაგდებ?!  
**ბიჭი** — მოშორდი აქედან. შე ბენტგრაფ,  
 შენა!  
**პრტიანი** — კარგი. წაგჩაღატუნდები! (გა-  
 დის).

**ბიჭი** — (ორიანს)  
 ახლა შენთან მაქვს საქმე.  
 შე ჭკუით აბლა-უბდა!  
 შენდამი ზიზღიც გულში  
 საქმოდ დამიკუბდა  
 გასწი, ერთიანს გაშუევი,  
 არ დამენახო თვალით!  
 საკირეს ცეცხლში დაიწვას  
 თქვენი ხორცი და ძვალი!

**ორიანი** — მაგდებ მეცა?!  
**ბიჭი** — დამეკარგე აქედან, შე სალახანავ,  
 შენა!  
**ორიანი** — თუ არ ვინღვიარ, წავეთრევი!  
 (გადის).

**ბიჭი** — (სამიანს)  
 შენ კი აი, რას გატყვი:  
 არც ტკბილად, არც თუ მკაცრად!  
 კაცი ხარ, მაგრამ მიიწი  
 არ მიმანინხარ კაცად!  
 სიტყვა მშვიდი გაქვს, მაგრამ

არ ვეტრფი მე შენს უნარს;  
 არ მომწონს შენნაირი,  
 ჩანჩალა, ქალაჩუნა!  
 წადი, არ შემიძლია ვიყო შენი  
 მახასიებელი!

**სამიანი** — მეც მოთხოვ?  
**ბიჭი** — წადი, მეთქი!  
**სამიანი** — რახან ასეა, მივდივარ! (გადის).  
**ბიჭი** — (ოთხიანს)

რა ვქნა! ბოდიში თქვენთან,  
 დიდი პატივისცემით,—  
 სხვა გზა არ არის, უნდა  
 გაუწყო აზრი ჩემი:  
 თუმც ვაუკაცი ხარ, მტკიცე,  
 მუნღმარდი, როგორც რაში...  
 მაგრამ მე უფრო მეტი მსურს,  
 მე ფრენა მინდა ცაში!

**ოთხიანი** — მეც არ ვინღვიარ?!  
**ბიჭი** — მე ვფიქრობ, გასაგებია!  
**ოთხიანი** — თქვენი ნებაა! (გადის).

**ბიჭი** — (ხუთიანს) მხოლოდ მარტო შენ დარ-  
 ჩი ჩემთან! გუგუნავ! ამაყო! მფრინავო! მთის  
 მწვერვალზე მცხოვრებო! შენ უნდა იყო ჩემი  
 მეგობარი!

**სუთიანი** — ხომ გასხვს ჩემი პირობა?!  
**ბიჭი** — მახსოვს!  
**სუთიანი** — ჩემი მეგობრობა ადვილი არ  
 არის!

**ბიჭი** — ვიცი!  
**სუთიანი** — ყველაფერი უნდა შეასრულო!  
**ბიჭი** — დიას!

**სუთიანი** — მე ადვილად ვიცი წუქნა!  
**ბიჭი** — არაფერს გაწყენინებ!  
**სუთიანი** — მე მძულს დაწარება!  
**ბიჭი** — არაფერს დავიწარებ!  
**სუთიანი** — მე უკიდურესად მშრომელი, ბე-  
 ჯითი და მუყაითი მოწაფე მიყვარს.

**ბიჭი** — სწორედ ასეთი ვიქნები!  
**სუთიანი** — მას, გილოცავ!  
**ბიჭი** — გმადლობ!  
**სუთიანი** — აბა, შენ იცი!

**ბიჭი** — მე მოვიხიბლე მეტად  
 შენი ლამაზი ვნით!  
 არსად გაგიშვებ, არსად,  
 შენი ჭირიმე, შენი!

გულში ნათელი დგება,  
 ხულში გროვდება სითბო!  
 შენი ჭირიმე, ძმაო,  
 შენით მოველი სიტკბოს!

რასაც მე ვამბობ ახლა,  
 არ დაიჯერო იქნებ!  
 არსად გაგიშვებ, არსად,  
 აი, ვკითხულობ წიგნებს!

(სამეცადინო მაგიდას მიუჯდება. ხუთიანი  
 ზურგიდან მოუდგება. სკამზე შედგება და ორივე  
 ხელით გაშლის წითელ ქსოვილზე დაწერილ ლო-  
 ზუნებს: „მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე—ეს  
 ფრიადზე სწავლაა“.—ლ. პ. ბერიძე).







# პიონერული ბანაკი

## წერილი პირველი

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა ბავშვები ხატხულში კარგი დასვენებით გაჯანსაღდნენ და სექტემბრიდან ახალი ენერჯით დაუბრუნდნენ საყვარელ სკოლას.

ხშირად ანბობენ, რომ „ბანაკებში პიონერები ისვენებენო“, ეს უნდად მართალია, მაგრამ ეს დასვენება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უსაქმურად გატარებული დრო. ბანაკის ხელმძღვანელობამ და პიონერულმა აქტივმა ისე უნდა მოაწყონ ბავშვთა ეს დასვენება, რომ ბანაკი პიონერებში ყოველდღიურად ნერვადეს საბჭოთა მოქალაქის სასახლო თვისებებს.

### კომლვხად და რაზმებად დაყოფა პიონერულ ბანაკში

პიონერულ რგოლებად და რაზმებად დაყოფა პიონერთა ბანაკში ხდება ბავშვთა წლოვანების მიხედვით. თვითიული პიონერული რგოლი აერთიანებს 8 დან 10 პიონერამდე. რგოლს ხელმძღვანელობს რგოლის ხელმძღვანელი პიონერი. რაზმი ბანაკში, ისევე როგორც სკოლაში, აერთიანებს 2-4 პიონერულ რგოლს. რაზმის სათავეში დგას რაზმის საბჭო.

პიონერ ბანაკში არსებულ ყველა რაზმებს აერთიანებს ერთი საბანაკო რაზმეული, რომლის სათავეში დგას რაზმეულის საბჭო.

პიონერ აქტივის არჩევნები ბანაკშიც ხდება ისევე, როგორც სკოლის პიონერ რაზმეულში.

### პიონერთა რაზმებისა და კომლვხის მუშაობის ზომიერათი საკითხი ბანაკში

ბანაკებში არსებულ პიონერულ რაზმებსა და რგოლების მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედვას საქ. ალკკ ც. კ. 1947 წლის 13 მარტის დადგენილება „პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ და მთელი მუშაობა უნდა წარიმართოს ბავშვთა ფართო შემოქმედებითი ინიციატივის მაქსიმალურად გამოვლინების, მათი წლოვანების, სქესისა და ინტერესის გათვალისწინებით.

პიონერთა რგოლებს, რაზმებსა და რაზმეულის შეკრებები პიონერულ ბანაკშიც ტარდება. ეს შეკრებები სკოლაში ჩატარებულ შეკრებებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო უნდა იყოს.

ბანაკებში სისტემატურად უნდა მოეწყოს ბავშვთა შეხვედრები მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, სსრ კავშირის გამიერთან, სოციალისტური შრომის გამიერთან და ასე შემდეგ.

პიონერ ბანაკებში სამხედრო ფიზკულტურული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება ეს ბანაკის მუშაობის ერთერთი გადაუდებელი ამოცანაა.





საჭიროა ყველა ბანაკში მოეწყოს სპორტული მოედანი, ჩატარდეს შეჯიბრებები ბანაკის პირველობაზე ფიზკულტურის სხვადასხვა სახეებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ი. მ. შ. თ. და მ. შ. თ. ნიშნებზე ჩაბარების საქმეს.

ბანაკის პიონერულ რაზმების ყოველდღიურ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვთა შრომითი აღზრდის საკითხებსაც. საჭიროა ბავშვებმა თვითონ ააღაგონ თავისი ლოგინი დაასუფთაონ ბანაკის ეზო, იმუშაონ სამზარეულოში, დამხმარე მეურნეობაში, მახლობელ კოლმეურნეობაში და სხვა.

წიგნის კითხვას, წაკითხულის გარჩევას, ლიტერატურულ დილა-სლამოების მოწყობას ბანაკში საკმაოდ დრო უნდა დაუთმონ. მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით პიონერულმა რაზმებმა რეგულარულად უნდა ჩაატარონ ლაშქრობები, ექსკურსიები, კარგად უნდა შეისწავლონ ბანაკის ახლო-მაღლო მდებარე ყველა ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი სიმდიდრეები. პიონერებმა უნდა ჩაიწერონ 'ხალხური ლექსები, თქმულებები.



### პიონერული ბანაკის რაზმების სამუშაო გეგმა

პიონერულ ბანაკში ბავშვები მოდიან სხვადასხვა სკოლიდან, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ქალაქსა და რაიონიდან და თან მოაქვთ თავისი კუთხის დამახასიათებელი ჩვევები, აქვთ სხვადასხვა მისწრაფებები და ინტერესები. ამიტომ ბანაკის მუშაობის პირველსავე დღეებში პიონერბელმძღვანელი გულმოდგინედ უნდა გაეცნოს ასეთ პიონერთა სურვილებს, მისწრაფებებს და მთელი მუშაობა აავსოს მასზე. საბანაკო რაზმეულის საბჭო, რაზმის ხელმძღვანელებთან ერთად, ადგენს ბანაკის სამუშაო გეგმას. აღნიშნული გეგმა სდგება მთელი საბანაკო შეკრებისათვის (ცვლების მიხედვით) და მტკიცდება ბანაკის უფროსის მიერ. ამ გეგმაში გარკვევით უნდა იყოს ჩაჩვენები ზუსტი თარიღები ყველა საბანაკო ღონისძიებებისა, დაწყებული ბანაკის ტერიტორიის კეთილმოწყობით და დამთავრებული პიონერული კოცონის ჩატარებით, რომელიც ეწყობა ბანაკის დახურვის დღეს.



რაზმები, გამომდინარე რაზმეულის სამუშაო გეგმიდან და თვით რაზმის პიონერთა მისწრაფებებიდან, ადგენენ—თავიანთ 7 დღიურ სამუშაო გეგმას.

### ბანაკის დღის რეჟიმი

ყოველი დღის ბოლოს, როდესაც ბავშვები უკვე დაიძინებენ, ბანაკის უფროსთან, ან უფროს პიონერბელმძღვანელთან, ტარდება ბანაკის მუშაობა თათბირი. აღნიშნულ თათბირზე უნდა შეჯამდეს დღის მუშაობის შედეგები და შესდგეს მომავალი დღის რეჟიმი.


ბანაკებისათვის დამტკიცებულ ტიპიურ დღის რეჟიმში არის ზოგი რამ, რაიც არ იცვლება და ყოველდღიურად მეორდება; ასეთებია: ადგომა, ხელპირის დაბანა, საუზმე, სადილი, ვახშამი და ძილი, მაგრამ დღის რეჟიმში არის საკითხები, რომლებიც თავისი მუშაობის სახეობით ყოველდღიურად საჭიროებენ შეცვლას. ასე მაგალითად დღის რეჟიმში არის საკითხი „სამხატვრო, ფიზკულტურული, საკლუბო, წრეობრივი მუშაობა, რაზმისა და რგოლის შეკრებები, ექსკურსიები, ვასეირნებანი“. ამ საკითხს დღის რეჟიმში დათმობილი აქვს 2 1/2 საათი. რაზმის ხელმძღვანელებმა მომავალი დღის რეჟიმის შესადგენად მოწვეულ თათბირზე გარკვევით უნდა დასახონ, თუ დღის რეჟიმით განკუთვნილ საათებში რას გააკეთებს მათი რაზმი. მაგალითად ერთი რაზმი მოაწყობს ექსკურსიას, მეორე ჩაატარებს რაზმის შეკრებას და ასე შემდეგ.



დღის რეჟიმში ასევე ყოველდღიურად იცვლება მასობრივი მუშაობის, საზოგადოებრივი ნაყოფიერი შრომის და თვითმომსახურების საათებში ჩატარებული მუშაობის სახეები.







# გვიხმობენ

## მშობლიური მხარეები

შარშანდელი ზაფხული განსაკუთრებით მისთვის დარჩა ტკბილმოსაგონარი, ვინც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა ლაშქრობებში მშობლიური მხარის შესასწავლად.

მთები, ველები, ალბიური საძოვრები, წყაროები, მღვიმეები, ჩამონგრეული და დაკბილული ციხეები... მთელი ზამთრის განმავლობაში არ იძლეოდნენ მოსვენებას და, აპრილი გამოიფოთლა თუ არა, გულმა ისევ სამოგზაუროდ გაიწვია.

მაისი მიიწურა, — მოსწავლეობა მთელი პასუხისმგებლობით ხვდება გამოცდებს; ემზადება, იმეორებს განვილი მასალას, მაგრამ ერთი წუთითაც არავის ავიწყდება მოგზაურობა მშობლიურ მხარეში. საქართველოს მრავალ სკოლაში უკვე გაიშალა მზადება მოგზაურობათა მოწყობისათვის.

ალკ თბილისის კომიტეტი დაუგზავნის თბილისის სკოლებს „ნორჩი მოგზაურის“ საგზურებს... ბევრმა სკოლამ უკვე მოგზაურობის სვლიგეზები შეადგინა.

განსაკუთრებული მუშაობა მიმდინარეობს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში.

როგორც ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილია, შარშან პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის მიერ მოწყობილ იქნა საყურადღებო ლაშქრობა გურია-აჭარაში. წელს შემოდინებული კაბინეტი აწყობს ლაშქრობას ზემო იმერეთსა და ქვემო რაჭაში. \*

\* იხილეთ სვლიგეზის საორიენტაციო რუკა გარეკანის 4-ე გვერდზე.

იმისათვის, რათა ამ ფრიად სერიოზულ ლაშქრობაში ნორჩ მოგზაურებს არ გაუჭირდეთ მოსალოდნელი სიძნელების დაძლევა, ჯერ კიდევ ადრე — გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში კაბინეტმა მოაწყო მოსამზადებელი საწრთენელი პატარ-პატარა გასვლები.

პირველი გასვლები მოწყობილ იქნა თბილისის მიდამოებში: ბულბულების ქალაში, კუს ტბაზე, წავკისის ხეობაში, კრწანისის ველზე და რუსთავში.

საინტერესოა პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის საველე გასვლეთის — „ნორჩი მოგზაურის“ პირველი ნომერი, რომელიც მთლიანადაა მიძღვნილი მეტალურგიული ქალაქის — რუსთავისადმი. ნორჩი მოგზაურები: დალი გერსამია, დათო ჯავახიშვილი, გურამ მელაძე და სხვები, თავიანთ წერილებში აღწერენ რუსთავის მშენებლობის ობიექტებს და საამქროებს, აღწერენ ახალ მეტალურგიულ ქალაქს და სიხარულსა და განცვიფრებას გამოხატავენ ამ გრანდიოზული მშენებლობის გამო.

რაჭა-იმერეთის დიდ ლაშქრობამდე, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი გამოცდების დამთავრებისთანვე მოაწყობს სამდღიან ლაშქრობას შემდეგი მარშრუტით: მცხეთა — დიდგორი-ნახშირგორი - ბეთანია - თბილისი. ნორჩი მოგზაურები სამ დამეს ველად გაათევენ და შეისწავლიან თრიალეთის ქედის საკმაოდ დიდ ნაწილს. განსაკუთრებით საინტერესო იქნება დიდგორის ველი, სადაც 1120 წელს დავით აღმაშენებელმა ცნობილი დიდგორის ბრძოლა გადაიხადა. ეს იქნება სასწავლო, საწრთენელი გასვლა, ხოლო ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყება რაჭა-იმერეთის ერთთვიანი ლაშქრობა.







# ბიონერი ჩაიწეროთ დაკვირვება

ბუნებისა და გარემოს შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს საფუძვლიან დაკვირვებას. ძაგრად დაკვირვება ერთია და მისი ჩაწერა მეორე. ბევრი ხორჩი მოგზაური დაკვირვებების ჩაწერას ზერელედ ეპყრობა. ზერელე, არაზუსტი ჩანაწერი სასურველ შედეგს ვერ მოგცემთ. საჭიროა ყურადღებით ჩაიწეროთ ყველაფერი, რითაც ხახულიდან დაინტერესდით, იძის მიხედვით, რა ძიხანსაც ემსახურება, თქვენი მოგზაურობა; უნდა ჩაიწეროთ, აგრეთვე, თქვენთვის საინტერესო საკითხების ცნობები, რომელთაც გაიგონებთ მცოდნე ადამიანებისაგან. დაკვირვების ჩაწერის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეთ ადგილმდებარეობის აღწერა, ამინდის პირობები, განსაკუთრებული შემთხვევები, წლის დრო და სხვა.

შინ დაბრუნებისას ჩანაწერები მოიყვანეთ წესრიგში, დაუმატეთ ყოველივე, რაც უეჭვოდ გახსოვთ და გადაწერეთ დღიურში. (დღიური ინახება შინ და მისი ტარება მოგზაურობის დროს არ არის მიღებული).

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ჩაწეროთ საკონტროლო მონაცემები: მაგალითად, რომელ საათზე აწარმოეთ დაკვირვება და სად, მცენარისა თუ ცხოველის რიცხვი, რომელზედაც დაკვირვება მოახდინეთ და სხვა.

ზუსტი და სწორი ჩანაწერები ნამდვილი ცნობარი იქნება დაკვირვების საგანთა და მოვლენათა შესახებ.

ბევრი პიონერი ივიწყებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოვლენათა ჰემშარიტ შესწავლისათვის ზუსტ ცნობებს. თუ შესასწავლი მოვლენის შესახებ ჩაიწერეთ არა სწორი ცნობები, ან მოვლენის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი მხედველობიდან გამოუშვით, შრომა ფუჭად ჩაივლით.

ერთმა პიონერმა თავისი დაკვირვების შედეგად ბლოკ-ნოტში შემდეგი ჩასწერა:

„დღეს იყო ძლიერი წვიმა მეხით; დაბეგვა ვაშლის ხის ყვავილები და წვრილი ფრინველი“.

ასეთი ჩანაწერი აუცილებელ სიზუსტეს დაძორებულია.

ამავე მოვლენის შესახებ მეორე ახალგაზრდამ ჩასწერა:

„დღეს წაძოვიდა ძლიერი წვიმა. გაგრძელდა 12-დან 15 საათამდე. ოცი წუთის განმავლობაში ძოდოდა ძხვილი სეტყვა (ზოგიერთი სეტყვის დიამეტრი აღწევდა 6-8 მილიმეტრს). სოფლის განაპირას (დასავლეთით) ბაღებში ვაშლის ხეების 20-25 პროცენტს დაუზიანა ყვავილები. სხვა ხეები ნაკლებად დაზიანდა. კოლმეურნეობაში გავიგე, რომ სეტყვას წვრილი ფრინველიც დაებეგვა. ბაღში ვნახე ორი მკვდარი შიშია“.

აი, კიდევ სამი ჩანაწერი ერთსადიამვე თემაზე:

პირველი. „18 მარტი. ველებში გაიღვიძეს ციყვებმა“.

მეორე. „18 მარტი. ველებში გავიარე ექვსი კილომეტრი. დავინახე ციყვები.“

მესამე. „18 მარტი. გავედი დილის 9 საათზე. გავიარე 4 კილომეტრი მხით გამთბარ, მძრალ ფერდობით და ორი კილომეტრი გზით შემოდგომის ნათესზე, რომელიც სოლივით იყო შეჭრილი ფერდობში. დღე იყო ნათელი, თბილი. ფერდობზე გაიღვიძეს ციყვებმა. დავინახე თერთმეტი ციყვი. ორ ადგილას შევნიშნე მამალი ციყვები უთვალთვალბდნენ დედლებს. ციყვებს ეწყებოდათ დაწყვილების დრო. უკან 13 საათზე დავბრუნდი“.

ამ ჩანაწერებიდან პირველი ჩანაწერი არაფრის მთქმელია, მეორე — არ არის საკმაოისი, მესამე კი — კარგია.

გასაგებია, რომ პირველი ორი ჩანაწერი თუ რატომ არ არის კარგი და რატომ არის კარგი მესამე.

ციყვების ის რაოდენობა, რომელიც დამკვირვებელმა დაინახა, დამოკიდებულია ამინდზე, ადგილმდებარეობაზე და, აგრეთვე, დღის დროზე. ამის მიხედვით შეიძლება შერჩეულ იქნას დრო ციყვების დასახოცად, რომ დავიცვათ მოსავალი.

ბავშვებო, უკეთესად, მეტი დაკვირვებით და დაწვრილებით ჩაიწერეთ ცნობები დღიურში და ამონაწერები გადმოგზავნეთ ჩვენი უურნალის რედაქციაში.



# ორმოცდამეერთე ყრმა

„და სასტიკმა თურქმა ორმოცდამეერთი ყრმა  
მსხმერკლად მოიოხოვა“  
მოხუცის ნათქვამიდან

ხევი ბუხუნებს ბოღმით,  
რა ყრუ გუგუნი ისმის!  
მდინარე მოსთქვამს ოხვრით,  
ირგვლივ ჩამოწვა ნისლი,  
თითქოს ბუმბერაზ მთებმა  
ნაბდები წამოისხეს,  
კლდეზე ისევ სდგას მედგრად  
ძველი ნანგრევი ციხე.  
მდინარე ლურჯად ელავს,  
თრთის საცალფეხო ხიდი,  
ქვევით მორევი დელავს  
მოალერსე და ფლიდი.  
მათზე გზა მოდის შორი,  
ღრუბლებში იკარგება,  
გზას მოჰყვებიან ორნი—  
დედა და შვილი ერთად.  
ბავშვი ტიტიწებს, ლაღობს,  
დედას გული აქვს მკვდარი,  
ნუთუ აწ ვეღარ ნახოს  
ლაშქრად წასული ქმარი?!  
მოდის და მოიქჷარის,  
ალარ თავდება შარა—  
მიიზღაზნება წყნარი,  
უხსენებელის დარად.  
„რად დაეცაო ომში  
ჩემი რჩეული გმირი,—  
ვინ დაიპუროო ოში  
სამცხის ფუძე და ძირი!“  
ჩამოსწეწია გულმკვდარს  
ნაწნაევი—კუპრი ღამე,  
მწუხარებით და დარდით  
ცრემლი შეაშრა თვალებს.  
ჰა, მოადწია მორევს.  
თრთის საცალფეხო ხიდი,  
ციხე გაჰყურებს შორეთს,  
აწუხებს სევდა დიდი.

გაცოფებული მტერი  
მთებშიც მოსულა რისხვად:  
„ჩვენი ნაბრძოლი ველი  
სისხლის მორევად იქცა.  
თქვენი ვაჟები ეხოცეთ,  
თქვენი ქმრები და ძმები,  
დავაკორტინეთ ყორნებს  
მათი ხორცი და ძვლები.  
ბავშვებიც მინდა მათი,  
განა ერთი და ორი,  
განა ორი და ათი?!  
შემისრულდებდეთ, თორემ  
დაიზრდებიან ისევ  
ალგეთს ლეკვები მგლისა,





ამოწყდებიან განა  
 ჯავრი არ სჭამონ მტრისა?  
 რომ აღარ ენახო ხვალაც  
 შურისმგებელნი მთაში,  
 უნდა შევესწირო ალაპს  
 ორმოცდაერთი ბავშვი“.

პირით ცოფს ჰყრიდა მტერი,  
 ბოლმით უსმენდა ხალხი,  
 იდგა გლოვა და ცრემლი,  
 მთებსაც ჩაეცვა თალხი.

გზირნი, ქცეულნი რისხვად,  
 ყრმებს აგროვებდნენ მთაში,  
 უფროსს მოჰგვარეს ფიცხლავ  
 მხოლოდ ორმოცი ბავშვი.

ყრმათ მთის ყვევილთა მსგავსებს  
 ზედიზედ წყალში ჰყრიან,  
 ღრმა მორევს რა გაავსებს  
 და ან მხეცის გულს ტიალს!  
 „ერთი ყრმა კიდევ მინდა,  
 გასწით, მომგვარეთ, თორემ,  
 გზირნო, აი, ამ ხიდთან  
 თვით გადაგიშვებთ მორევს!“  
 ბრაზობს და ჰყვირის მტერი,  
 ბოლმით ივსება ხალხი.

ამ ღროს გამოჩნდა სერით  
 დედა ქოჩორა ბაღლით.  
 და იმ უბედურ დედას  
 შეილი მოჰგლიჯეს კალთით,  
 აღარ აკმარეს სევდა,  
 მწუხარება და დარდი,  
 ის ერთადერთი ბავშვიც,  
 იმედი ერთადერთი,  
 ისიც ჩაავდეს წყალში,  
 ისიც მოსწყვიტეს მკერდით.  
 სიმწრით იგლეჯდა ძუძუს,  
 კივილით ზეცას ჰხევედა,  
 ადგილით მოსწყდა უცებ,  
 კამარა შეჰკრა ვეფხმა.  
 მისწვდა იმ ჯალათს ყელში,  
 „შეგარჩენდიო განა!  
 ასე იციან მთებში“, —  
 ტარამდე ჩასცა დანა,



და ჯოჯოხეთურ ხევში  
 გაისმა მწარე კენესა,  
 დანა ჩასტოვა ყელში,  
 თვით მორევს გადაეშვა.

\* \* \*

ამბობენ, როცა მთიდან  
 ამოცურდება მთვარე,  
 ხევში ამართულ კლდიდან  
 ტირილი ისმის მწარე.  
 იმ საცალფეხო ხიდთან  
 აჩრდილი ჩნდება ქალის,  
 მოთქმას აგრძელებს დიდხანს,  
 მოზარედა ჰყავს ქარი.  
 ციხე გაჰყურებს შორეთს  
 ჩუმი და სიტყვაძვირი,  
 მოთქმა მოესმის მორევს,  
 შეგუბდება და სტირის.







# ჩვენი ადამიანის მეგობარია



ჩვენი ცოდნის უმრავლესი წყაროა. წიგნს შეუძლია პასუხი გაგვცეს ათასგვარ საკითხზე. წიგნები ჩვენ გვაცნობენ წარსულს, საშუალებას გვაძლევენ საუკუნეთა სიღრმეში ჩავიხედოთ, აწმყოსში გავერკვეთ და მომავალი წარმოვისახოთ.

„ყოველივე კარგი, რაც ჩემში არის, წიგნის წყალობითაა... მე არ შემიძლია წიგნის შესახებ უღრმესი მღელვარებისა და სიხარულით აღსავსე ერთუზიანების გარეშე ვილაპარაკო!“ — ამბობდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი.

დიდ ადამიანებს წიგნისადმი უღრმესი სიყვარული ახასიათებთ. ერთხელ კარლ მარქსს ჰკითხეს: „რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა?“ „წიგნებში ჩხრეკა“, — უპასუხა მან. ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ ამ ნათქვამში უდიდესი სიმართლე იყო: მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს მზურვალედ უყვარდა წიგნი. იგი თავისი დროის ერთ-ერთი დიდად განათლებული ადამიანი იყო: წიგნები მას ეხმარებოდა მუშაობასა და ბრძოლაში, მტრების გარჩევაში და მათადმი შეურთებლობასა და სიძულვილში.

დიდი შთამავრებელი და ხელმძღვანელი ძალა აქვს მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებს, ლენინისა და სტალინის უკვდავ ნაწარმოებს.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი ცოდნის ენციკლოპედიაა. ამ წიგნის შესწავლით ყველასათვის ნათელი ხდება, თუ რა გრძელი და სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ, რა სიძნელეთა გადალახვით და გამირული ძალ-ღონის დაძაბვით აგებულ იქნა ჩვენში სოციალისტური საზოგადოება.

ფასდაუდებელია ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ეს წიგნი გვასწავლიდა და გვასწავლის, თუ როგორ უნდა თავდადებულ ბრძოლა და გამარჯვების მოპოვება.

რამდენ შესანიშნავ აზრებს გაიგებთ ახალგაზრდა მკითხველი ვ. ი. ლენინის სიტყვიდან კომკავშირის III ყრილობაზე. ეს სიტყვა საბჭოთა ახალგაზრდობის განუყრელ წიგნად არის გადაქცეული.

მარქსიზმის კლასიკოსების არა მარტო ნაწარმოებები, არამედ თვით მათი ცხოვრებაც წარმოადგენს ხალხისადმი სამსახურის შესანიშნავ მაგალითს. ამიტომ ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა შეისწავლოს ამხანაგ სტალინის წიგნი „ლენინის შესახებ“, მ. ი. კალინინის წიგნები ამხანაგ სტალინზე, ასევე სვერდლოვის, ძერჟინსკის, კიროვის, კუბიშინევის, ორჯონიკიძისა და ჩვენი პარტიის სხვა შესანიშნავ მოღვაწეთა ბიოგრაფია.

დიდი და განუსაზღვრელი მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობაც. მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები გვაცნობენ სხვადასხვა ხალხის დიად სულიერ მხარეებს, გვიხატავენ პატიოსანი და უშიშარი ადამიანების სახეებს, რომლებიც მაღალი საკაცობრიო იდეებისათვის სიცოცხლესაც არ იშურებენ.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები, სასურველია, ვიკითხოთ დედანში. ცნობილია, რომ ადამიანი ეკუთვნის მხოლოდ ერთ რომელიმე ერს, მაგრამ ის არის იმდენი ენობრივი კოლექტივის წევრი, რამდენი ენაც იცის. და რა სჯობია იმას, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოებს თვით დედანში წაიკითხავთ. ლეე ტოლსტოიმ ტყუილად კი არ სთქვა, რომ ჰომეროსის მთელი სიდიადე მან მხოლოდ მაშინ შეიგრძნო, როდესაც ბერძნული ენა შეისწავლა და „ილიადა“ და „ოდისეა“ დედანში წაიკითხა.

უნდა ვიკითხოთ ჩვენი ქართული მხატვრული ლიტერატურა. იგი გვასწავლის სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულსა და თავდადებას, გვასწავლის კარგ ქართულ ენას, ამდიდრებს ჩვენს შეგნებას.

უნდა ვიკითხოთ დიდი რუსი ხალხის მხატვრული ლიტერატურა. იგი გავაცნობს მის გამირულ წარსულსა და აწმყოს, ღრმად შეგვასწავლის რუსულ ენას, დიდი ლენინის ენას.

„კითხვა — საუკეთესო სწავლაა“, — ამბობდა პუშკინი. უნდა ვიკითხოთ ხშირად და ყოველმხრივ შევეცადოთ, რაც შეიძლება კარგად შევითვისოთ წაკითხული. სხვანი-



რად რომ ვთქვათ, კითხვა აქტიური უნდა იყოს. უნდა ვიკითხოთ ყურადღებით, წაკითხულს ღრმად ჩავწვდეთ და ის ადგილები, რომლებსაც ადვილად ვერ გავიგებთ, რამდენჯერმე უნდა გადავიკითხოთ. განმეორებითი კითხვა უდიდეს როლს ასრულებს წაკითხულის გაგება-შეთვისებაში.

ათეული კარგი წიგნი კარგად წაკითხული უფრო სასარგებლოა, ვიდრე ასეული შემთხვევითი წიგნი, უყურადღებოდ, სხაბასხუპით წაკითხული.

**წიგნის კითხვა — დიდი ხელოვნება.** ამ ხელოვნებას საუკეთესოდ იყო დაუფლებული დიდი ლენინი. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის ფოლადის კარადებში ინახება ლენინის მიერ წაკითხული მრავალი წიგნი. ამ წიგნებში უამრავი შენიშვნაა გაკეთებული, ხაზგასმულია და სხვადასხვა ნიშნებითაა აღნიშნული ადგილები. ლენინი კითხულობდა ფანქრით ან კალმით ხელში. ლენინი, როგორც ნ. კ. კრუშსკაია გადმოგვცემს, არასოდეს არ ეყრდნობოდა თავის მეხსიერებას, თუმცა მას შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა. ფაქტებს არასოდეს მეხსიერებაზე დაყრდნობით, „მიახლოვებით“ არ გადმოგვცემდა ხოლმე. ფაქტები მას ყოველთვის უდიდესი სიზუსტით მოჰყავდა.

კითხულობდა და სწერდა ლენინი სწრაფად, ასწრებდა უამრავი მასალის გადათვლიერებას. მის რვეულებში წაკითხული წიგნების კონსპექტები და მოკლე შინაარსებია შემონახული. ლენინი ამ რვეულებში აგრეთვე თავის აზრებს წერდა წაკითხული წიგნების შესახებ. თუ წიგნი მას ეკუთვნოდა, ხაზგასმებსა და შენიშვნებს იქვე უკეთებდა.

ზოგიერთ წიგნს, რომელსაც მისი მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ლენინი რამდენჯერმე კითხულობდა. როდესაც ლენინი რომელიმე საკითხს სწავლობდა, იგი გულდასმით კითხულობდა ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, რომლის შოვნაც კი შეიძლებოდა. იმი-სათვის, რომ დაეწერა წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ლენინმა ექვსასამდე წიგნი წაიკითხა სამ ენაზე.

\* \* \*

დიდი რუსი პოეტი ნეკრასოვი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც გლეხი „ბელინსკისა და გოგოლს ბაზრიდან წაიღებდა“. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სიცხადით აქცია პოეტის ეს ოცნება. ჩვენს ქვეყანაში დიდი სიყვარულით სარგებლობენ არა მარტო ბელინსკი და გოგოლი, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ყველა კლასიკოსი. მათი ნაწარმოებები უჩვეულო ტირაჟით

გამოდის ჩვენს ქვეყანაში, და არა მარტო რუსულ ენაზე, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზედაც.

ამ წიგნების დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის უამრავ ბიბლიოთეკებშია დაცული, წიგნების დანარჩენი ნაწილი კი ოჯახებშია თავმოყრილი საუკეთესო საოჯახო ბიბლიოთეკების სახით. ასეთ ოჯახებში წიგნები კარგად არის მოვლილი და თაობიდან თაობაში გადადის.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი ოჯახები, სადაც წიგნი უყურადღებოდაა მიგდებული სადმე მტვრიან კუთხეში.

ზოგჯერ ბიბლიოთეკებშიც ზოგიერთი წიგნი იმ მდგომარეობაშია მისული, რომ მისი ხელში აღება უკვე აღარ შეიძლება. რა მოხდა? რასაკვირველია, დრო თავის დაღს ასვამს ყველაფერს, მაშასადამე წიგნსაც, — იგი ძველდება და მწყობრიდან გამოდის. მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ახლად გამოცემული წიგნი, რომელიც „სამინელ დღეშია ჩაყენებული“: ფურცლები ამოხეულია, გააჯღაბნილია, მელნით დასვრილი, საჭმლის ნაძვეცვებით აესებული, გაქონილი, ნახევრად დამწვარი.

ცხადია ასეთ დღეში წიგნი ჩააყენეს ისეთმა „მკითხველებმა“, რომელთაც არც წიგნის პატივისცემა იციან და არც მისი მნიშვნელობა. ასეთ „მკითხველს“ ავიწყდება, რომ ბიბლიოთეკის წიგნი საზოგადოებრივი საკუთრებაა, რაც ზნეობრივად გვავალებს გავუფრთხილდეთ, წესიერად მოვუპყროთ მას. ბიბლიოთეკის წიგნში არც შენიშვნების, არც ხაზგასმების გაკეთება არ შეიძლება. ისეთი, პირველი შეხედვით, თითქოს უბრალო რამეც კი, როგორც არის წიგნის ფურცლის





გადაკეცვა, ვითომდა წაკითხული ადგილის დასამახსოვრებლად, აფუჭებს და ანადგურებს წიგნს. ერთსა და იმავე წიგნს ასეული მკითხველი წაკითხავს და ყველამ რომ თავისი შენიშვნები გაუყეთოს, ხაზები გაუსვას, ფურცლები გადაკეცოს, რას დაემსგავსება იგი?

ცული მკითხველი არა მარტო ბიბლიოთეკის წიგნს, საკუთარ წიგნსაც არ ინდობს. არიან მოსწავლეები, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოებს უდიერად ეპყრობიან, ჰკარგავენ კიდევაც და წლის განმავლობაში მეორედ და, ზოგჯერ, მესამედაც უხდებათ ერთი და იმავე სახელმძღვანელოს ყიდვა.

წესიერი მოსწავლეები კი სახელმძღვანელოებს თვალისჩინივით უფლიან. მათ იციან, რომ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ მათ ხელში გამოვლილი წიგნები სამსახურს გაუწევენ მომდევნო კლასელებს და სამაგიეროდ თვითონაც მიიღებენ კარგად მოვლილ

სახელმძღვანელოებს უფროსი კლასელები-საგან. ისინი საკითხავ წიგნსაც კარგად უფლიან — სულ ერთია ბიბლიოთეკის იქნება ის, თუ საკუთარი. სუფთად შენახული წიგნი სასიამოვნო საკითხავია.

მოსწავლეებო, გვახსოვდეს, რომ წიგნი ადამიანის მეგობარია, მეგობარს კი პატივისცემითა და მეგობრულად უნდა მოპყრობა.

გვახსოვდეს, რომ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ სახელმძღვანელოები ისეთ მდგომარეობაში უნდა გვქონდეს, რომ მათი ჩაბარება, მომდევნო კლასელებისათვის მათი გადაცემა არ შეგვრცხვეს!

გვახსოვდეს, რომ წიგნის კარგი მოვლით მისი გამოყენების ვადებს. გავახანგრძლივებთ, ხოლო სახელმწიფოს კი ამით შევუმცირებთ ხარჯებს ერთი და იმავე წიგნის ყოველწლიურად გამოცემისათვის.

მ. გვინჩიძე



## მაისი

მოდით, ვიმღეროთ, ბავშვებო,  
მოსულა ტურფა მაისი,  
ძთა-ბარბი ხარობს გარშემო  
და საზეიმო ხმა ისმის.

სამშობლოს მიწას შევხარით,  
მწვანეს რომ იცვამს ჩოხასა,  
გაზაფხულს გვამცნობს მერცხალიც,  
ჰაერში რკალი მოხაზა.

ისმის სიმღერის წკრიალი,  
ამღერდნენ ბავშვთა გულები,  
მთიდან მოჰქრიან ჩქრიალით  
ანკარა ნაკადულები.

მაისის წვიმით ნანამი  
ქუჩა დროშებით აივსო,  
მაისო, ჩვენი სალამი,  
ჩვენო ძვირფასო მაისო!

ირაკლი არაბული



# მიხეილ ბოტვინიკი

## მსოფლიო ჩემპიონი ქადრაკში



დიდი ინტერესით აღევნებდა თვალყურს მთელი საქადრაკო მსოფლიო ხუთი უძლიერესი მსოფლიო მოჭადრაკის შეჯიბრებას, რომელიც ახლახან ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ეს მატჩ-ტურნირი ორ თვეს გრძელდებოდა.

როგორც ჩვენი ყურნალის მკითხველებმა უკვე იციან, ამ მატჩ-ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ მიხეილ ბოტვინიკი, პაულ კერესი, ვასილ სმისლოვი (საბჭოთა კავშირი), სამუელ რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები) და მაქს ეივე (ჰოლანდია).

ამ დიდ საქადრაკო შეჯიბრებაში პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა გროსმაისტერმა მიხეილ ბოტვინიკმა, მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა გროსმაისტერმა ვასილ სმისლოვმა, მესამე და მეოთხე ადგილი გაიყვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა გროსმაისტერმა პაულ კერესმა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა გროსმაისტერმა სამუელ რეშევსკიმ, მეხუთე ადგილზე გამოვიდა მსოფლიო ექს-ჩემპიონი მაქს ეივე.

საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭადრაკეების გამარჯვება ალაფრთოვანებს და სიამაყის გრძნობით ავსებს საბჭოთა კავშირის ხალხებს.

მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის ჩატარებულმა მატჩ-ტურნირმა მსოფლიოს აჩვენა საბჭოთა საქადრაკო ხელოვნების უბრწყინვალესი ძლიერება.



**მიხეილ ბოტვინიკი**

1924 წელს ლენინგრადის საქადრაკო კლუბში გამოცხადდა 157-ე სკოლის წარჩინებული პიონერი ბიჭუნა, რომელმაც ყველა გაანცვიფრა თავისი არაჩვეულებრივი ნიჭით ქადრაკის თამაშში.

ეს მოჭადრაკე ბიჭუნა იყო მიხეილ ბოტვინიკი.

1925 წელს ახალგაზრდა ბოტვინიკი ჩათვალეს იმ ერთდროული თამაშის სენსის მონაწილედ, რომელსაც ატარებდა ლენინგრადში მსოფლიო ჩემპიონი ქადრაკში კაპაბლანკა, 16 წლის ბოტვინიკმა კაპაბლანკას მოუგო პარტია, რითაც დიდი გაკვირვება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

1926 წლის ზაფხულში ლენინგრადის საქადრაკო სექციამ ქალაქის მოჭადრაკეთა ჩემპიონატის შემადგენლობაში პირველი კატეგორიის მოჭადრაკედ მიიწვია მიხეილ ბოტვინიკი. პიონერი ბიჭუნა, რომელმაც

### მატჩ-ტურნირის შედეგები

კატეგორია	მონაწილენი	1	2	3	4	5	შაღები ქულაში აღილი მალი	კლასი
1	ბ. ბოტვინიკი ს. ს. რ. ბ.		½1½	IIII	I½0II	I½I½	14	I
2	ვ. სმისლოვი ს. ს. რ. ბ.	½½0½		00½	½½I½	II0II	11	II
3	პ. კარასი ს. ს. რ. ბ.	0000I	II½0½		0½I0½	I½III	10½	III-IV
4	ს. რეშევსკი ა. შ. შ.	0½100	½½0½	I½0I½		I½½II	10½	III-IV
5	მ. ეივე ჰოლანდია	0½0½	00I00	0½000	0½½00		4	V





კაბანკასთან თამაშის დროს გამოავლინა ისეთი განსაცვიფრებელი ნიჭიერება, უკვე გაზრდილიყო.

ბერს არ სჯეროდა ახალგაზრდა მოჭადრაკის მიღწევები. მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: მიშამ ზედიზედ მოიგო ხუთი პარტია, ამ შეუპოვარი თამაშით ტურნირში დაიკავა მეორე ადგილი და გაუსწრო თავის მასწავლებლებს — ძველ, გამოცდილ მოჭადრაკეებს.

ასე დაიწყო სახელგანთქმული მოჭადრაკის საქადრაკო ცხოვრება, რომელმაც მას არგუნა 18 პირველი პრიზი (ჯილდო) საბჭოთა და საერთაშორისო ტურნირებში.


მიხეილ ბოტვინიკი დაიბადა 1911 წელს. საშუალო

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1937 წელს წარჩინებით დაიცვა დისერტაცია და მიწვეულ იქნა ტექნიკური მეცნიერების კანდიდატის ხარისხი.

თავისი საყვარელი, სახელგანთქმული მოჭადრაკე მიხეილ ბოტვინიკი ლენინგრადის მცხოვრებლებმა აირჩიეს დეპუტატად ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში.

მიხეილ ბოტვინიკს საბჭოთა კავშირის პიონერებმა აღტაცებით მიულოცეს ბრწყინვალე გამარჯვება, რომლითაც სახელგანთქმულმა მოჭადრაკემ მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

მიხეილ ბოტვინიკს გადაეცა დაუნის გვირგვინი.



## ნორჩმოგსაურს უნდა ახსოვდეს!

1. მოგზაურობის დროს ყოველთვის ვერ შეხვდები სუფთა წყაროს წყალს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია თან იქონიო გადაღებულ წყალი. საერთოდ ეცადე წყალი იშვიათად დალიო, რაც გავიადვილებს სიარულს.

2. ისუნთქე ცხვირით და ნაკლებად მოგინდება წყალი.

3. თუ მოგზაურობის დროს დასველდი, საჩქაროდ უნდა გამოიცივლო ტანსაცმელი. თუ მეტი ტანსაცმელი თან არ გაქვს, გაეხვიე საბანოში და ტანსაცმელი გააშრე ცეცხლზე.

4. ჭამე მხოლოდ კარგად გარეცხილ ჭურჭლიდან. კოვზი იქონიე შეხვეული სუფთა ტილოს ნაჭერში.

5. ცუდია ის ტურისტები, რომელიც კბილების გასუფთავებას ივიწყებს. ნუ იქნები დაუდევარი და მოგზაურობის დროსაც კბილები ხშირად გაისუფთავე.

6. ნუ გაიხდი წესად მოგზაურობაში მხოლოდ ცივი საჭმელი ჭამო. მიეჩვიე საჭმელის დამზადებას, გაისარჯე და ხშირად ჭამე ცხელი, გემრიელი საჭმელი.

7. რომ ფეხები არ დაგეჟეოს, მოგზაურობაში იქონიე ნატარები, მზავარი ფეხსაცმელი და დაუკერებელი წინდები.

8. თუ სადამოს დაღლილი დაბრუნდი, მაშინვე ნუ შეწევები ლოგინში, ცოტა დაისვენე, დაიბანე ხელ-პირი და ფეხები, თორემ დილით ჯანგატეხილი აღგები.

9. უმაღ და ზუსტად შეასრულე ხელმძღვანელის განკარგულება. გახსოვდეს, რომ დისციპლინა მტერია ყოველგვარი მოსალოდნელი უბედურების.






# პიონერებო, დაიცავით მკვხარე და ფრინველი!



## პეპენი მარკოვი

ყველაზე ძვირფასი ჩვენს ქვეყანაში ადამიანია და მისი ჯანმრთელობა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუფთა ჰაერს. საბჭოთა კეთილმოწყობილ ქალაქებში სიცხე, დახშული ჰაერი, მტვერი, კვამლი და სხვა თანდათან მცირდება მწვანე ნარგავების ფართოდ გავრცელების შემდეგობით. მცენარე ადამიანის მეგობარია და ადამიანი მას უნდა იცავდეს უამრავი მანერე მწერისაგან. მანერე მწერებს ებრძვიან მებღღები და აგრონომები მრავალგვარი მექანიკური და ქიმიური საშუალებებით, მაგრამ ეს არ კმარა. უხდა გვახსოვდეს, რომ მანერე მწერებს ანადგურებენ ფრინველები. და აი ყოველი პიონერის ვალია დაიცვას ფრინველები, ხელი შეუწყოს მათ გამრავლებას.




სურ. 1

მწერი აურაცხელია. თვალთ ოდნავ დასანახი, წვრილ-წვრილი ხოჭო, ბუზანკალი, მღილი, ჩრჩილი, სხვადასხვა ფერის კუტკალია, ბაღლინჯო, მსხვილი ხოჭოები, როგორცაა ბოვანო, ჯუჯუშკალი, ათასნაირი მათეური, სხვადასხვა სიდიდისა და ფერადონების პეპლები, მატლები, — ყველა ესენი მცენარის ხარჯზე არსებობენ, ღრღინან მის ფოთლებს, კვირტებს, ფესვებს, ქერქსა და მერქანს, სჭამენ მარცვალს, ნაყოფს, სწოვენ სასიცოცხლო სითხეს, რითაც ასუსტებენ მცენარის ზრდას.

ქვეყნიერებაზე 750 ათასზე მეტი სახეობის სხვადასხვა მწერი არსებობს. უმრავლესობა მათგანი მანერებელია თვით ადამიანისთვისაც—კოლო, მუმლი, ბუზი, ბაღლინჯო, რწყილი, ფურნის ჭია.

მწერები მეტად სწრაფად მრავლდებიან. ერთი ბუზისაგან, მაგალითად, ზაფხულის განმავლობაში მილიონზე მეტი ბუზი ჩნდება. თეთრი პეპლის — კომბოსტოს პეპლის მუხლუხებმა ერთხელ ისე გადაღობეს პრალა-ბერლინის რკინიგზის ხაზი, რომ მატარებლის მოძრაობა ამ ხაზზე დიდი ხნით შეჩერდა. ერთხელ კიდევ გერმანიაში მათეურისაგან (ქერქისჭამია) ერთბაშად დაიღუპა ორ მილიონზე მეტი მშვენიერი ნაძვის ხე.



სურ. 2

ჩვენს ქვეყანაში ტყეებსა და სოფლის მეურნეობის კულტურებს ათეული მილიონი მანეთის ზარალს აყენებს სხვადასხვა მწერი.

მანერე მწერთან ბრძოლაში უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია სხვადასხვა ფრინველებს. ზოგი ფრინველი, მხოლოდამხოლოდ მწერებით იკვებება, დანარჩენები კი, თუმცა ძირითადად ნაირნაირ საკვებს მიმართავენ, მაგრამ მწერს მაინც ეტანებიან. რაც შეეხება ბარტყებს, — მათ ყველა ფრინველი მხოლოდ მწერებით კვებავს.

ჩვენს მინდვრებსა, ტყეებსა და ტბებზე უამრავი ფრინველია. თვითეული წყვილი რამდენიმე კვერცხს დებს და ბარტყებს ჩეკავს. ბარტყი კი ისეთი გაუმძაძარია, იმდენ საკვებს მოითხოვს, რომ მათ მშობლებს დიდიდან საღამომდე უხდებათ ფრენა და საკვების ზიდვა.

წიწკანა დღის განმავლობაში 370 - 390 -ჯერ მიფრინავს ხოლმე საკვებით ბუდესთან, რომ თავისი 2-3 ბარტყი ვამოკვებოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ დღეში იგი 400-მდე სხვადასხვა მწერს, — მცენარისა და ადამიანის მტერს — სჭობს.



მერცხალი ზაფხულის განმავლობაში მილიონამდე მწერს ანადგურებს, ჩვენი ყველაზე მოძველი ფრინველი—ნიბლია კი—8-10 მილიონს. ეს რიცხვები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენ მწერს ანადგურებენ ძილიოხობით ფრინველები, რა დიდი სარგებლობა მოაქვთ მათ მცენარისა და ადამიანისათვის. ფრინველები ჩვენი საიმედო მეგობრები არიან, ამიტომ ჩვენ ისინი უნდა დავიცვათ!

მაგრამ უნდა მოვიზიდოთ, შემოვიჩვიოთ და დავიცვათ არა ყველა ფრინველი განურჩევლად, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მწერებს ანადგურებენ. ასეთებია: სკვინჩა, ჭივჭავი, მერცხალი, ბულბული, კულუძური, წივწივა, ბოლოცეცხლა, წიქვანა, თოხისტარა, ნამგალა, შროშანი, კიოტა, მამვი და სხვ.

თუ გულმოდგინედ მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს, ორ-სამ წელიწადში თბილისის მწვანე ნარგავები საკმარისად იქნება ფრინველთა მხიარული ჟივილ-ხვილით, და ჩვენს მცენარეებს საიმედო დამცველები ეყოლება.

სადაც ფრინველებს უვლიან და იცავენ,—მათ ადამიანების შიში არა აქვთ და საიმედოებით იფერებენ მათ ზრუნვას.

რა არის ყოველივე ამისათვის საჭირო? საჭიროა ზუსტად შევასრულოთ პირველი პიონერული შეკრების მოწოდება — თვითელმა პიონერმა გააკეთოს ფრინველისათვის თითო პატარა სადგომი და ორი გეჯა საკვებისათვის.

ეს სადგომები მოხერხებულად უნდა დადგათ. საქმე ისაა, რომ ფრინველები მიწიდან სხვადასხვა სიმაღლეზე (მცენარეზე) სხვადასხვა გარემოცვაში ბინავდებიან. შროშანს, მაგალითად, 8-10 მეტრ სიმაღლეზე უყვარს ცხოვრება. შროშანს სადგომი ამიტომ შეიძლება, ჭოკზე დამაგრებული, ხის კენჭროებს ასცილდეს. ბუზიყლაპია, ბოლოცეცხლა და სხვა წვრილი ფრინველი 2-4 მეტრის სიმაღლეზე ბინავდება ხშირ ბუჩქნარში, კოდალა—4-7 მეტრზე და ასე შეიძლება.

ზოგიერთ ფრინველს, მაგალითად, შროშანებს ერთად უყვართ ცხოვრება. ამიტომ მათი სადგომები ახლო-ახლოს შეიძლება ჩავამწკრივოთ, სხვა ჯიშებისათვის კი შორი-შორს უნდა დადგათ სადგომები. დაწვრილებითი ცხოვრების ამის შესახებ ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისაგან უხდა გაიგოთ.

სადგომი ძჭიდროდ და ძაგრად უნდა მიაკრათ ხეს; ის არ უნდა ირყეოდეს. სადგომები რაც შეიძლება ადრე უხდა დადგათ, რომ ფრინველები მათ მიეჩვიონ და გამოსადეგი იყოს იმ ფრინველებისათვისაც, რომლებიც ზამთარს ჩვენში ატარებენ.

სადგომი ზუსტად ვერტიკალურად უნდა იდგეს, ანდა ოდნავ წინგადმოხრილი. გარდა ამისა, პირით იქითკენ უნდა იყოს მიმართული, საითკენაც ცივი ქარები ჰქრის, რომ წვიმამ და ქარმა არ შეაწუხოთ ფრინველი.

სადგომი ძჭიდროდ შეკრულ მოძველი ყუთის მსგავსი კეთდება. ფიცრების სისქე 2-3 სმ. უნდა იყოს. სახურავი სადგომში შესაფრეს ღრუს უხდა გაღმოჰყურებდეს (იხ. სურ. 1-2).

ყოველ სადგომზე ნათლად უნდა ჩანდეს ნომერი, რომლითაც თვალყურს ადევნებს პიონერი ფრინველის ცხოვრებას და თავის დაკვირვებებს იწერს. სადგომში შესაფრეს ხერხელს ქვევით ქანდარა უნდა მიაკრათ ფრინველის დასაჯდომად.

სადგომის ნორმალური ზომა ასეთია: წვრილი ფრინველისათვის—სიმაღლე—20-25 სანტიმეტრი, სიგანე—8-10 სმ., შესაფრესი ხერხელი—2½ სმ., საშუალო ფრინველისათვის—სიმაღლე 30-32 სმ., სიგანე—15-16 სმ., შესაფრესი ხერხელი—5 სმ.

სადგომების მეტი წილი, ორი მესამედი წვრილი ფრინველებისათვის უნდა იყოს განკუთვნილი, ერთი მესამედი კი საშუალო ფრინველისათვის.

სადგომის ფსკერზე თითის სისქის შრედ ნახერხი უნდა დაყაროთ; ნახერხში შერეული უნდა იყოს მშრალი მიწა.

სადგომების ქვეშ უნდა გამართოთ, როგორც მე-3 სურათზეა ნაჩვენები, კატებისაგან დასაცავი მოწყობილობა.

ყუთოვანი სადგომების მაგიერობის გაწევა თამამად შეუძლიათ სხვადასხვა ფულუროვანი სადგომებს (იხ. სურ. 4-5). ფულუროვანი სადგომების მოსაწყობად



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5




ბად საჭიროა შერის ღერი გახერხოთ გასწვრივ, თითოეული ნახევრის შუაგულ-  
ლი გამოფულროთ და შემდეგ ერთმანეთს მიაკრათ ან მიახრახნოთ. ქერქი შე-  
შის ღეროს არ გააცალოთ.

ფულუროვანი სადგომების ზომა დაახლოებით იგივეა, რაც ყუთოვანი  
სადგომების. ფულუროვანი სადგომი ფიცარზე უნდა დაამაგროთ და ამ ფიც-  
რით ხეზე მიაკრათ. ფულუროვანი სადგომებიც, რასაკვირველია, უნდა და-  
ნომროთ.

სადგომების გამართვის შემდეგ ფრინველის საკვებზე უნდა ვიზრუნოთ,  
განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრისათვის, როდესაც ფრინველს უძნელდება  
საზრდოს მოენა.

ყოველმა პიონერმა ფრინველის საკვებისათვის ორი გეჯა  
უნდა მოაწყოს.

გეჯები საკვებისათვის ორნაირი შეიძლება: ან ღია, ნა-  
პირებიანი, რომ საკვები არ გადმოიფანტოს, ანდა ბოთლის  
სახით (იხ. სურ. № 6); ბოთლი მავთულის წნულით ხეზეა მი-  
მაგრებული, გადმოპირქვავებული, ტუჩით ფიცრიდან 2-3 სანტი-  
მეტრზე დაცილებული. ბოთლიდან საკვები თანდათან გამოდის.  
როდესაც ბოთლი დაიცლება, ამოიღებენ მას მავთულების წნუ-  
ლიდან, გაავსებენ საკვებით და კვლავ ჩადგამენ პირქვე მავთუ-  
ლის წნულში.



გეჯა საკვებისათვის დამაგრებული უნდა იქნეს ხეებზე არა  
ნაკლებ 3 მეტრის სიმაღლეზე. ისინიც უნდა დავიცვათ კატი-  
საგან.

თუ ჩვენი პიონერები თავიანთ პიონერულ და სასკოლო ორგანიზაციებ-  
ში სერიოზულად და ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ფრინველთა მოზიდვას  
და მათ დაცვა-მოვლას, თუ ჩვენს ბაღებსა და პარკებს მოფენენ ფრინველთა  
სადგომებით და გეჯებით საკვებისათვის, ამით ფრიად სასარგებლო საქმეს  
ვაკეთებენ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

სურ. 6

## ნორჩი მებაღე

შარშან ვაჟამ ბაღში დარგო  
ატამი და ტყემალი,  
მათს მოვლაში ძმას ჰშველოდა  
ცეროდენა ჯემალი.  
რწყავდნენ, მიწას უბარავდნენ,  
მიდიოდნენ დღეები,  
და ამ ზრუნვით იზრდებოდნენ  
მოხარული ხეები.  
მათ ზამთარში მოიწყინეს,  
ცივი თეჟა ეხურათ;  
ახლა, როცა გაზაფხულდა,  
აქლურტულდა ბელურა,  
მინდორ-ველად ოქროსფერი  
მზის სხივები დახვავდნენ,

ვაჟას ნორჩი ხეხილებიც  
სამაჟურად აყვავდნენ.  
ტყემალი ჰვავს ღრუბლის ქულას,  
შექმნილს ბროლის ქაფიდან,  
ატამი კი თავს იწონებს  
ვარდისფერი კაბითა.  
როცა ვაჟა ბაღში შედის  
ყელსახვევის ფრიალით, —  
ესმის წყნარად მოჩურჩულე  
ხეხილების შრიალი.  
ჩურჩულეებენ ნიავისგან  
ოდნავ შენაშფოთები, —  
ნორჩ მებაღეს უმადლიან  
აყვავებულ ტოტებით.

ბაგრაბ მაზანაშვილი





# შაითან-კაპიტანი

1914 წელს, თურქეთის ფრონტზე, სარაყამის რაიონში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა: 128 ჯარისკაცისა და ერთი ოფიცრისაგან შემდგარმა დარუბანდის 156-ე პოლკის მწვერავთა ასეულმა კაპიტან ტარასი ვაშაკიდის მეთაურობით დაატყვევა თურქეთის მე-9 კორპუსის მთელი შტაბი, სარდალი ისხან-ფაშა, 30 ოფიცერი და 1.306 ჯარისკაცი.

მაშინდელი გაზეთებისა და კავკასიის არმიისადმი გაცემული ბრძანებების მიხედვით, საქმის ვითარება ასე წარმოგვიდგება: კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე თავისი ასეულით თურნალელის ქედისაკენ წავიდა დასაზვერავად, სადაც თურქების საგუშაგოები შეხვდა, მაგრამ მათ შეუმჩნევლად აუარა გვერდი, საშინელ ქარბუქში ძნელი აღმართები გადალახა და მთის მწვერვალზე მოექცა. ასეულს მოულოდნელი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: ქვევით თურქთა ჯარების ვეებერთელა ზანაკი იყო, ქარბუქში აქა-იქ ალი ლაპლაპებდა და ცეცხლის ირგვლივ თურქი ჯარისკაცები თბებოდნენ. მთის ძირშივე, ტყეში, გათხრილი იყო სანგრები. თურქების

საგუშაგომ შეამჩნია ვაშაკიდის ასეული და სროლა აუტეხა. კრიტიკული წუთები დადგა. თურქების ჯარის თვალწინ უკანდახევა შეუძლებელი იყო, რადგან იოლად გაუღებდნენ სათითაოდ. დახმარების გამოსათხოვრად დრო აღარ იყო.

ტ. ვაშაკიძემ არაჩვეულებრივი თავგანწირულების გზა აირჩია: სწრაფად განუმარტა ასეულს თავისი აზრი, მჭექარე ხმით შესძახა „ვაშა“ და ეკვეთა თურქებს. ასეულიც „ვაშას“ ძახილით ერთსულოვნად გაჰყვა მას უკან. მთის გამოძახილი გუგუნით იმეორებდა ამ „ვაშას“. ასეულმა ხიმით განდევნა თურქები პირველი ხაზიდან და სანგრები დაიკავა. მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გართულდა. მტერს შეეძლო კონტრიერშივე გადმოსვლა და მათი ამოუღებელი ტ. ვაშაკიძემ აქაც უმაგალითო გამირობა გამოიჩინა. გაცხარებული სროლის დროს გამბედავი მებრძოლეები სანგრებიდან აიშალნენ და ხიმტით შეტევაზე გადავიდნენ. ეს ღონისძიება სწორი გამოდგა. თურქებში არეულობა დაიწყო: ირგვლივ მთებში „ვაშას“ გამოძახილი გუგუნებდა — იფიქრეს, ალბათ, მტრის დიდი ძალებით ვართ გარემოცულნიო და ბრძოლა შეწყვიტეს... ვაშაკიძეს შეეგება მოლოდინი ოფიცრით და უთხრა: რადგან გარშემორტყმულნი ვართ, არა გვსურს უმიზნო სისხლისღვრა, ამიტომ კორპუსის უფროსის ბრძანებით ტყვედ გნებდებითო. თეთრი ბაირალიც გამოჰკიდეს. ვაშაკიძე გაბედულად მივიდა თვით ისხან-ფაშასთან და ხმამაღლა განუცხადა, რომ რუსეთის დივიზიებმა გარემოცვეს მთელი მათი ზანაკი, ის კი მხოლოდ მოწინავე რაზმის მეთაურია. ისხან-ფაშამ ხელი ჩაიქნია და იარაღის დაყრა ბრძანა. მთელს ზანაკს გარს შემოერთყნენ გმირული ასეულის მებრძოლეები და თურქები რუსეთის არმიის შტაბში მოიყვანეს. ისხან-ფაშამ იკითხა, რომელმა ნაწილმა დამატყვევაო. როდესაც გაიგო, რომ მხოლოდ ვაშაკიდის ერთმა ასეულმა ჩაიღინა ასეთი გამირობა, ბრანზმორეულმა დაარტყა მუშტი მაგიდას და დაიყვირა:

— ჰაი შაითან,\*) შაითან-კაპიტან!

ტარასი ვაშაკიდის მთელი ასეული წმიდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. თვითონ ვაშაკიძემ კი ამ ჯვრის გარდა საფრანგეთის მედალი მიიღო მამაცობისათვის.

მ. პაღოლსკი

\*) შაითანი ნიშნავს ეშმაკს.





# ახალი მიწის პიონერები



შორს, ჩრდილოეთით მდებარეობს კუნძული ახალი მიწა. ამ კუნძულზე ვცხოვრობთ ჩვენ. კარის ზღვის ცივი ტალღები ეხეთქებიან ახალი მიწის ციცაბო კლდეებს. შემოდგომის მიწურულიდან თვეობით არის ჩვენში პოლარული ღამეები. მზე თვეობით სრულიად არ ჩანს, მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებენ ბნელ ცაზე. მათი ციმციმით წარმოიშვება ციური სილამაზე, რომელსაც პოლარული ციალი ეწოდება. სამაგიეროდ, ზაფხულობით მზე არ იმალება. შუადღისას აიწვევს ზევით, სამხრეთისაკენ, შუაღამისას კი ჩამოეშვება ახლოს — ჩრდილოეთის მხარეს და ათბობს კუნძულს. თოვლის ქვემოთ და გამოჩნდება ბალახი და აყვავდება ტუნდრის ყვავილი.

ხეები ჩვენში ძლიერ დაბალია, ისეთი დაბალი, რომ ვერ გაარჩევ ბალახისაგან. ჩვენ, ახალი მიწის მოსწავლეები, სხვა კუთხის ნამდილ ტყეებსა და ხეებს ვიცნობდით გეოგრაფიის გაკვეთილებიდან და სურათიან წიგნებიდან.

მაგრამ, როდესაც საექსკურსიოდ წავედით არხანგელსკში, მხოლოდ მაშინ ვნახეთ ნამდილი ხეები და ტყეები, რომლებითაც მეტად მოვიხიბლეთ. ქალაქი არხანგელსკი მოგვეწონა, ის დიდია და ხმაურიანი. სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ კიდევ უფრო უკეთესი. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ტუნდრა და ჩვენი მშობლიური კუნძული, ჩვენი სკოლა და ჩვენი სადგური ბელუშიე.

აქ, როგორც კი დამთავრდება ჩრდილოეთის ზაფხული და თოვლით დაიფარება მიწა, გვეწვევიან სწრაფი ირმები და მარხილებში გაბმული ძაღლები. მორთულ მარხილებიდან გადმოდინ ნენცთა ბავშვები. ისინი მოლიან ჩვენთან. ჩვენ ნენცები და რუსები ერთად ვსწავლობთ, ვცხოვრობთ მეგობრულად და მხიარულად. კარგ ამინდში დაესეირნობთ მარხილებით. მოლიბულ თოვლზე დაგვაქროლებენ ძაღლები. სკოლის ახლოს დიდი თოვლიანი მთებია, იქიდან ჩვენ ვსრიალებთ ცივებითა და თხილამურებით. ჩვენს მოსწავლეებში არიან კარგი მონადირეებიც: — ალბერტ ნეუმონი, ვიტია ფედინი, სერიოჟა აკსენიევი.

ჩვენი სკოლა ნათელი, თბილია და მყუდრო. ნენცთა ბავშვები, რომელნიც ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ, გახდნენ მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები და მუშაობენ ახალი მიწის სხვადასხვა კუთხეში.

წინათ ახალ მიწაზე ადამიანები ცუდად ცხოვრობდნენ; ნენცები თავისი ჯოგებით დახეტებოდნენ უზარმაზარ ახალი მიწის ყრუ ტუნდრებში. მათ ატყუებდნენ იმისები და სძარცვავდნენ დიდი მიწიდან ჩამოსული გაუმადლარი ვაჭრები. იაფ ფასებში ყიდულობდნენ ბეწვეულს და თევზს. მოხუცებს ახსოვთ არხანგელსკიდან ჩამოსული ვაჭარი, რომელიც ეწვია მონადირე ვიუჩეისკას, ოჯახის პატრონი დაათრო არაყით და მოიტაცა მისი ათი წლის ქალიშვილი, რათა დიდ ქალაქებში, სასყიდლით, ეჩვენებინა როგორც საოცარი მხეცი.

და აი, 1917 წელს დიდი მიწიდან მოვიდნენ გემები და მოიტანეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის სასიხარულო ამბავი.

დღეს აღარ არიან კუნძულზე ბოროტი და გაუმადლარი ვაჭრები. აღარავინ არ აწუხებს ახალი მიწის მცხოვრებთ. მათ არავინ უწოდებს შეურაცხყოფელ სახელს „სამოედი“,



როგორც უწოდებდნენ მეფის დროს. მათ უწოდებენ ნენცებს, რაც ნიშნავს ადამიანს.

ნენცები ჩამორჩენილი, გაუნათლებელი ხალხი იყო, მიჩვეული შეურაცხყოფას, ყველაფრის ემინოდათ და არ სჯეროდათ, რომ ოდესმე იცხოვრებდნენ კარგად.

როდესაც სადგურ ბელუშიეში პირველად მოფრინდა თვითმფრინავი, ნენცებმა ის ბოროტ საოცრებად მიიღეს, მოხსნეს თავისი კარგები, დააწყეს მარხილებზე და გარეყეს ძაღლები ზღვისაკენ.

სკოლა, რომელშიაც ჩვენ ახლა ვსწავლობთ, გაიხსნა 1925 წელს. ეს იყო პირველი სკოლა. ნენცებს ემინოდათ სკოლაში ბავშვების მიბარება.

ახლა ნენცები ეწაფებიან სწავლას. არ სწამთ ბოროტი სულები... უკვე მათთვის აღარაა საოცრება თვითმფრინავი, არც რა-

დღი, არც ელექტრონი და კინო. ნენცები, რომლებიც ეწვევიან ნადირობას და მეთევზეობას, აღარ ცხოვრობენ ირმის ტყავებისა და ვაკეებზე ბოლიან კარგებში, არც ცხოვრობენ თბილ, ელექტრონით განათებულ ხის სახლებში. უკაცურ ტუნდრაში გაიზარდა ახალი მოსახლეობა. გაშენდნენ სოფლები: კრასივო, რუსანოვო, რუსკაია გავან, არხანგელსკაია გუბა, ლიტკე და პახტუსოვო.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი კუნძული, რადგან, აქაც, აქაც და ლარიბ ბუნებაში, საბჭოთა ადამიანები — რუსები და ნენცები ჰქმნიან ახალ ცხოვრებას.

ახალი მიწის პიონერები: ვერა ვილკა, ლუბა არდევა, ზოია პირერკო, ვალია პარფენევა, ენია ფედინა, ვოლოდია როდიანოვი, შური ლედკოვი.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

<b>3. მ. მოლოტოვი</b> სტალინის შესახებ (ნაწყვეტი სიტყვიდან) . . . . . 1	<b>ი. არაბული</b> — მაისი (ლექსი) . . . . . 24
პირველი მაისი . . . . . 2	მისიელ ბოტვინიკი—სსაფლავო ჩეპიკინი ჭადრაკში . . . . . 25
<b>მ. დავითაშვილი</b> — ქართველები გერმანიაში (ნარკვევი) . . . . . 3	ნორჩმოგზაურს უნდა ახსოვდეს! . . . . . 26
<b>ა. შენგელია</b> — მაისის სიმღერა (ლექსი) . . . . . 6	<b>ე. მარკოვი</b> —პიონერებო, დაიცავით მცენარე და ფრინველი (წერილი) . . . . . 27
<b>ე. უბილავა</b> — არამხუტუ (მთხრობა) . . . . . 7	<b>ბ. მაზანაშვილი</b> — ნორჩი მებადე (ლექსი) . . . . . 29
<b>რ. მარგინი</b> — გამოცდები (ლექსი) . . . . . 9	<b>მ. ვალობსკი</b> — შაითან-კაპიტანი (ნარკვევი) . . . . . 30
<b>ნ. ჯაში</b> —ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მცე- ნიერებას (კომკავშირის XXX წლისთავისათვის) . . . . . 10	ახალი მიწის პიონერები (ნარკვევი) . . . . . 31
<b>ნ. ბერიანიძე</b> — ნიშნების საუბარი (პიესა) . . . . . 12	<b>ვ. შურული</b> — გაზაფხული სტალინის ბაღში (ლექსი) . . . . . გარეკ. მე-2 გვ.
<b>ო. ნემსაძე</b> — პიონერული ბანაკი (წერილი) . . . . . 16-17	გასართობი . . . . . გარეკ. მე-3 გვ.
გვიხმობენ მშობლიური მხარეები . . . . . 18	ნორჩმოგზაურთა სვლიგევისის საორიენ- ტაციო რუკა . . . . . გარეკ. მე-4 გვ.
როგორ ჩავიწერთ დაკვირვება . . . . . 19	გარეკანზე <b>ა. გიგოლაშვილის</b> ნახატი—„საპირ- ველმაისო ზეიმზე კბილისში“.
<b>ა. აბშილავა</b> —ორმოცდამეერთე ყრმა (ბალადა) . . . . . 20	
<b>შ. გვინჩიძე</b> — წიგნი ადამიანის მეგობარია (წერილი) . . . . . 22	

**პასუხისმგებელი რედაქტორი გ. კაპახიძე**  
 სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი**,  
**შ. გვინჩიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ვარდიაშვილი**, პროფ. **გ. თავზიშვილი**,  
**ა. გიგოლაშვილი**, **პ. მეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

---


უფ. 01696 ტირაჟი 7.000      გამომცემლობის შეკ. № 43      სტამბის შეკ. № 772  
 ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. შურნალის გარეკანი დაბეჭდილია  
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ფოტოცინკოგრაფიაში.



# გ ა ს ა რ თ ო ბ ი



## აპროკროსმორდი



### ვერტიკალურად:

1. XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტი, 2. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში, 3. კავკასიონის ქედის ერთერთი მაღალი მწვერვალი, 4. ზღვის ცხოველი, რომლის სხეულს 99 % წყალი შეადგენს; 5 ვიფხის ტყაოსნის გმირი, 6. ლითონი, 7. მტაცებელი ცხოველი, 8. ელექტრონიკააღმდგომის ერთეული, 9. პლანეტა.

### ჰორიზონტალურად:

10. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, 11. ძვირფასი ქვა, 12. პალეოგენების ჯგუფის ერთერთი ელემენტი, 13. ტბა სამხეთში.

## ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1

უახლოესი ასი წლიდან მონახეთ და ციფრით დასწერეთ ისეთი წელი, რომელიც სრულიად არ შეიცვლება, რომელ მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ მას, თუნდაც იგი თავდაყირა დააყენოთ.

რომელია ეს წელი?

2

ორმა მამამ და ორმა ვაჟიშვილმა გაინაწილა სამი ვაშლი ისე, რომ თითოეულ მათგანს ერგო თითო მთელი ვაშლი.

როგორ მოხდა ეს?

## 3 ა ს უ ხ ი

უურნალ „პიონერის“ № № 2 და 3-ში გამოქვეყნებულ გასართობ გამოცანებზე:

№ 1

## აპროკროსმორდი

1. გარკი, 2. ალუმინი, 3. ურანი, 4. მაიორი, 5. ამპერი, 6. რობინზონი, 7. ჯამბული, 8. ონი, 9. საპარა,

10. სახალისი, 11. ანტრაციტი, 12. ბენზინი, 13. ქორხი, 14. თაზისი, 15. თერმომეტრი, 16. ალგებრა, 17. სტადიონი, 18. ქლორი, 19 არქიმედავი, 20. როიალი, 21. თერგი, 22. ვულკანი, 23. ეკვატორი, 24. ლიმონი, 25. სხვიტორი.

„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

## თავსატმნი

ამოხსნის წესი: ამოხსნის საშუალება გამრავლების ტაბულაა. ასოს ციფრითი გამოსახულების მიგნების შემდეგ (მაგალითად,  $(\sqrt{=16}$ , რადგან  $4 \times 4 = 16$ ), ციფრებს შეცვლით ასოებით, რის შედეგადაც მიიღებთ გვარებს: პეტრიწი, ცურტაველი, შავთელი, ჩახრუხაძე და მერჩული.

№ 3

## შარალა

რა==ქა—აქარ==ა.

## გამოცანები

1. ტანკი, 2. ცეცხლი, 3. ქოთანი.

## რამუსი

სამშობლო, დედის ძუძუთ არ გაიცვლების სხვაზედა; ორივე ტკბილია, ძმობილო, მიზრევის ორსავე თვალზედა.

\* \* \*

გასართობი გამოცანები ამოხსნის შემდეგმა პიონერ მოსწავლეებმა:

თენგიზ ლებანიძემ (ონი), მერი ჯალალიშვილმა (სოფ. შილდა), ავთო ქურხულა და რომან ჭელიძემ (ავჭალა), ნოდარ ჯოგლიძემ (ვანი), ტარიელ ჯაბაურბა (კასპი), ალექო მოლოდინმა (წითელწყარო), მარინე იმერლიშვილმა (თბილისი), გური აბრამიძემ (ვანი), ვ. სკამკოჩაიშვილმა და ვ. ჯალაღანიამ (ბათუკ.), ნონა ნაცვლიშვილმა (სოფ. ბაში), უშანგი სოლოღაშვილმა (კაჭრეთი), მერიკო ყაზაროვა (ველისციხე), თეა უშვერიძემ (თბილისი), როზა დალაქიშვილმა და სერგო მაჩკალოვა (ბოგვი), ნუგეშა ტატიშვილმა (ახალქალაქი), ჯემალ კვანტალიანმა (თბილისი), ბიბი კუპრაშვილმა და ჯულიეტა ჩხიკვაძემ (ყვარელი), მადეა ქარცივაძემ (ლანჩხუთი), ნელი ზნაღაძემ (ყვარელი), ო. ყიფიანმა, ოთარ გვეტაძემ, სულიკო ქასრაშვილმა და გივი გეწაძემ (ორპირი), მერი ქურდიძემ (ლანჩხუთი), მადეა კახიანმა (სამტრედია), მსყვალა მაჭარაშვილმა და მერი მარტაშვილმა (სიღნაღი), ლამბარა გოთოშიამ (თბილისი), ნათელა მეტრეველმა (ხარაგაული), იზოლდა საირიშვილმა (ჩოჩხათი), მზია მოლაშვილმა (ყვარელი), ნელი ჯანგულაშვილმა (ყვარელი), ზურაბ ჯულაყიძემ (ვანი), დურსუნ გეგეშიძემ (მაიაკოვსკი), გულნარა გელაძემ და ნონა ნაცვლიშვილმა (სოფ. ბაში), შუქურა ოთარიშვილმა (კასპი), მერი გომურაშვილმა (თელავი).

ლამარა გოთოშის ვთხოვთ შემოიაროს რედაქციაში.




86/49



# თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ მოგზაურთა სვლიეგზის რუკა - იმერეთში

1948 წ. წიგნი 1



ამ წარმოდგენილია ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მოგზაურთა სვლიეგზის რუკა რაჭა-იმერეთში. ამ მოგზაურთა სვლიეგვი ასეთია: თბილისი — ქიათურა — სახნერე — სხვიტორი — სავანე — კაცხი — ქიათურა — ხრეთი — საწალიკე — თლუხი — ჭელიაღელე — სინათლე — ნაქერალას გადასავალი — ტყობული — ახალსოფელი — ცუცხვათი — ორბირი — გელათი — ქუთაისი — თბილისი.

სვლიეგვის რუკა შეადგინა თბილისის პიონერთა სასახლის აღმინიშნისა და ტურიზმის კაბინეტის წევრმა VII კლასის მოსწავლემ ბ. ქავთარაძემ.